პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით.

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული
რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48
ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

№ 192 ხუთშაბათი 23 აგვისტო, 1923 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 100,000 მან.
№ 192

საჯარო ბიბლიოთეკა

დ ღ ი უ რ ი

— რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება დროებით შეწყდა.

— ამერიკის მთავრობა მოსკოვში გზავნის არაოფიციალურ მისიას საბჭოთა კავშირთან ეკონომიური და დიპლომატიური ურთიერთობის განახლების შესაძლებლობის გამოსარკვევად.

— გერმანიაში მდგომარეობა კვლავ [illegible] აზრით შტრეზემანის გადადგომა აუცილებელი [illegible] მარეობა დღითი დღე უარესდება.

— მაინცში (რურის ოლქი) საოკუპაციო ჯარებსა და მუშებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა.

სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობა
გაიხსნება
ტფილისში 25 აგვისტოს.

დღის წესრიგი:

1. ამხ. მარტინოვის მოხსენება.
2. საქ. სოც.-დემოკრატიის ტაქტიკა და პარტიის თვითლიკვიდაცია. (მომხ. ამხ ქუმბურიძე).
3. საბჭოთა აღმშენებლობა. (მომხ. ამხ ფარნიევი).
4. ეროვნული საკითხი. (მომხ. ამხ. ა რუხაძე).
5. დეკლარაცია.
6. მიმდინარე საქმეები.

საინიციატივო ბიურო.

ყოფილ მენშევიკების ყრილობის დელეგატების საყურადღებოთ.

დელეგატებმა, რომლებიც ჩამოდიან ყოფილ მენშევიკების სრულიად საქართველოს ყრილობაზე, ყოველგვარ შეკითხვით

უნდა მიმართონ

საინიციატივო ბიუროს, რომელიც მოთავსებულია სასტუმრო „ნოე“-ში, ოთახი № 92 (პლეხანოვის პრ. № 103).

იქვე აძლევენ მანდატებსაც.

საინიციატივო ბიურო.

სრულიად საქართველოს ყოფილ მენშევიკთა ყრილობის მომწვევ ბიუროსაგან:

23 აგვისტოდან

გამოდის ქართულ-რუსულ ენაზე

ბიულეტენი,

სადაც იქნება ვრცელი ინფორმაცია ყოფილ მენშევიკთა კონფერენციების შესახებ.

ბიულეტენში იქნება აგრეთვე წერილები ტაქტიკურ და პრინციპიალურ საკითხებზე და მომავალი ყრილობის დღის წესრიგში დასმულ მოხსენებებზე.

სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მიაწოდონ რედაქციას წერილები და ინფორმაცია კონფერენციების მუშაობის შესახებ.

რედაქცია მოთავსებულია რუსთველის პროსპექტზე № 24.

ყოფ. მენშევიკების სრ. საქართველოს ყრილობის მომწვევი ბიუროს ბიულეტენი რუსულ ენაზე

ტექნიკური დაბრკოლებების გამო ვერ გამოვიდა დღეს პირველი ნომერი გამოვა ხვალ.

მუშკორები და მუშათა პრესა

საბჭოთა სისტემამ, რომელიც ჯერ უნახავ შესაძლებლობას ჰქმნის მშრომელთა თვითმოქმედების განვითარებისათვის და თავისთავათ წარმოადგენს ამ თვითმოქმედების სრულ გამოხატულებას, თავისი დაღი დააჩინა მუშათა პრესის მუშაკთა შემადგენლობასაც. ამ დარგშიაც მოახდინა მან ისეთი ცვლილება, რომელსაც ვერ აღნუსხავს დღემდე არსებული ვერც ერთი ეგრედ წოდებული „დემოკრატიის“ ისტორია.

ეს ბუნებრივია. ვინაიდან „დემოკრატია“ იყო და არის მხოლოთ საფარი მქონებელი კლასების თავაშვებული თარეშის, მაშინ, როდესაც საბჭოთა რეჟიმი და მისი ორგანოები წარმოადგენენ ჭეშმარიტი დემოკრატიის, მშრომელთა ბატონობის და თვითმოქმედების ინსტიტუტებს. სწორეთ საბჭოთა ხელისუფლების დროს მშრომელი მასა ეპატრონება არა მარტო სახელმწიფო და სხვა და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, არამედ კულტურული შემოქმედების ყველა დარგებს და მათ შორის თავის პრესასაც. სწორეთ დღეს ხდება შესაძლებელი ამ პრესის „დაპყრობა“ მუშა-თანამშრომლებისაგან, მუშა-კორესპონდენტების ე. ი. მუშკორებისაგან. მუშკორი გმირია ჩვენი პრესის, ყოველ შემთხვევაში ის უნდა შეიქმნეს და შეიქმნება ასეთი იქ, სადაც ეს ჯერ კიდევ არ მომხდარა. და ეს აღსანიშნავია არა მარტო მხოლოთ იმ აზრით, რომ პროლეტარიატი ეპატრონება თავის საკუთარ საქმეს ამ დარგშიაც, არამედ იმ პრაქტიკული მიზანშეწონილობის მხრივაც, რომ პრესის ორგანოები იძენენ ჩვენი მუშკორების სახით ყოვლის დამნახავ თვალს, ყოვლის გამგონე ყურს და მათ ყურადღებას არ გაუსხლტება არც ერთი ნაკლი, არც ერთი შემცდარი ნაბიჯი ჩვენი ახალი ცხოვრების აღმშენებლობის სხვა და სხვა სფეროებში. ხოლო ასეთ ნაკლებს ასეთ მრუდ ნაბიჯებს ხშირათ აქვთ ადგილი ჩვენ ყოველდღიურ მუშაობაში.

რამდენადაც ჩვენი პრესა, ორგანოები ინფორმაციისა და ხელმძღვანელობის, სრული სისწორით შესძლებენ თავიანთი მუშა-თანამშრომლების შემწეობით, აღნუსხონ უარყოფითი მხარეები ჩვენი შემოქმედების, გულწრფელი და დიადი მომავლის სიყვარულით გამსჭვალული მხილების სხივები სტყორცნონ ბნელ კუნჭულებს ჩვენი მუშურ გლეხური საზოგადოებრივობისა და ცხოვრებისას, იმდენათ დადგება ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე.

ცხადია ამ შემთხვევაში როლი ჩვენი მუშა-თანამშრომლების.

რამდენადაც მათ სისწორით აქვთ შეგნებული და შეთვისებული თავიანთი მოწოდება, ისინი გამოდიან ყოველივე რუტინის, ყოველი ძველის, დახავსებულის, ბიუროკრატიზმის და მათი წარმომადგენლების მამხილებლად, რაც ასე უხვათ გვიანდერძა ახლო წარსულმა. მაგრამ სწორეთ ამავე მიზეზის გამო წარსულის ეს შავი აჩრდილები იღებენ ნიშანში ჩვენი პრესის ამ მუშაკებს და მიაქვთ მათ წინააღმდეგ იერიშები იერიშებზე. ასეთ შემთხვევაში ჩვენი ვალია და ვალი სათანადო ორგანოების, სასამართლოების, რომლებიც თავის მხრივ ისევ იმავე მუშებით ივსებიან, მოვალეობაა ყველასი, დავიცვათ მუშა კორესპონდენტები მათი მტრებისაგან.

საინტერესოა ამ მხრივ ჩვენი გაზეთის მუშკორის ამხ. ვასილიევისა და ა. კავკ. რკინის გზების მოძრაობის უფროსის, მოქ. ვილიჟანინის საქმე, რომელიც გაირჩა სახალხო სასამართლოში ამ დღეებში.

მოქ. ვილიჟანინმა გამოააშკარავა თავისი ძველი ჩინოვნიკური დამოკიდებულება პროფკავშირებისა და მუშათა კანონმდებლობისადმი თავისი მოვალეობათა ასრულების დროს. მისი თვითნებობა ამხილა ჩვენ გაზეთში ამხ. ვასილიევმა. ეს მხილება მან გამოაცხადა ცილისწამებათ და ჩვენი თანამშრომელი სამართალში მისცა. მაგრამ იმის მაგიერ, რომ მას დაესვა მუშკორი ბრალდებულის სკამზე, თვით ბრალმდებელი შეიქნა ფაქტიურათ მოთავსებული ამ სკამზე. და სრულიათ მართალი იყვნენ ამხ. ვასილიევის დამცველი და ჩვენი რედაქციის წარმომადგენელი, როდესაც ისინი გამოსთქვამდნენ გაკვირვებას იმის გამო, თუ რატომ სწორეთ მოქ. ვილიჟანინი არ არის მიცემული პასუხისგებაში იმ ბრალდებების გამო, რომლებიც წაუყენა მას ჩვენი გაზეთის თანამშრომელმა და რომლებიც სრულიათ დაადასტურეს თავის ჩვენებაში ყველა მოწმეებმა.

როგორც მკითხველი გაიცნობს, მასალას, რომელსაც ჩვენ ვაქვეყნებთ დღეს, ამხ. ვასილიევი გაამართლა სასამართლომ, ხოლო ვილიჟანინი კი დამნაშავეთ იცნო და გაამტყუნა. ეს იყო ერთი პირველი „შეხვედრათაგანი“ თავის მოვალეობის კარგათ მცოდნე ჩვენი გაზეთის მუშა-თანამშრომლის და ძველი ჩინოვნიკის. ეს „შეხვედრა“ არ არის უკანასკნელი. ჩინოვნიკი ჩვენი ძველი ნაცნობია და ახალი ცხოვრების შხამიანი ეკალი. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამხანაგ მუშა-კორესპონდენტებისა და თანამშრომლების დახმარებით, რომლებსაც ამ შემთხვევაში მედგრათ დაიცავს მთავრობა, დავიცავთ ჩვენც, პრესის ორგანოები,—ჩვენ შევსძლებთ ძირიან ფესვიანათ ამოვაგდოთ ეს ნაშთები შავბნელი წარსულის.

სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა

ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტის ძალით ა. წ. 2 ივნისიდან შემოღებულ იქნა ამიერ კავკასიის ქალაქებსა და დაბებში სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევა მხოლოდ კერძო შენობების. სახელმწიფო დაზღვევის ამიერ-კავკასიის სამმართველომ უკვე დაამთავრა ორგანიზაციის მოწყობა მთელ რიგ ქალაქებში. მოახდინა შენობების რეგისტრაცია—დაზომა და შეფასება 1913 წლის ფასების მიხედვით, დასაზღვევი ნორმის გამოანგარიშება სამკუთხეთ საჟენზე—და შეუდგა დაზღვევის პრემიის აკრეფას. როგორც ტფილისსა, ბაქოსა და ბათომში და სხვა ქალაქებში საზოგადოთ ეს ერთობ რთული და დიდი სამეურნეო ორგანიზაციის საქმე უმრავლეს შემთხვევაში უმტკივნეულოდ ტარდება.

მართალია, იყო ერთი-ორი შემთხვევა პროტესტების გამოცხადებისა ერთნაირი გაუგებრობის გამო, მაგრამ სამმართველომ მიიღო სათანადო ზომები თავისი ინსპექტორების და აგენტების საშუალებით, რომელთაც დავალებული აქვსთ ადგილობრივი აღმასკომებთან შეთანხმებითი მუშაობა და თითო ორი პროტესტი მშვიდობიანათ გათავდა.

სავალდებულო დაზღვევა ჩვენში ახალი საქმეა და, როგორც ყოველი ახალი, არაჩვეულებრივი წესი, ამა თუ იმ გაუგებრობას იწვევს (გავიხსენოთ ხოლერის „ბუნტი“ და სხვ. ძველ რუსეთში). მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უსაჭიროესი ეკონომიური ორგანიზაცია არ იქნეს ცხოვრებაში გატარებული.

ჩვენ რომ ამ გაუგებრობის გზას დავადგეთ, მაშინ ხომ ბევრ რამეზე ხელი უნდა ავიღოთ და უცადოთ იმას, სანამ ხალხი შეიგნებდეს ამა თუ იმ სახელმწიფო სისტემას კითხვის, წერის და პროპაგანდის საშუა[illegible], და ამ შემთხვევაში [illegible], რომელიც შრომის [illegible] შედგება და ასე ამ გზით [illegible] სოციალისტურ [illegible] შემუშავებულ გზას [illegible] სახელმწიფოსათვის ყოველ [illegible] ერთეულს დიდ საფასურს [illegible], ის ვალდებულია გამოსცეს კანონი—ამ შემთხვევაში სავალდებულო დაზღვევაზე—და ასეთი სიტყვებით მიმართოს მოქალაქეს: „შენ, როგორც კერძო მესაკუთრე, მუშაობ შენს კერძო სამეურნეო ერთეულში მხოლოდ შენთვის, მაგრამ მე ამ შენს მუშაობაში ვხედავ უფრო მაღალ მიზანს—ქვეყნის სიმდიდრეს. ვინაიდან შენ შენის შეუგნებლობის გამო დაუდევარი ხარ და ვერ ამჩნევ, რომ შენი შრომის ნაყოფიერობა უნდა ემსახუროს საერთო საზოგადო ინტერესებს, ამისათვის მე, სახელმწიფო ვალდებულად გხდი შენ დაზღვიო ყოველნაირი შემთხვევისაგან შენი სამეურნეო ერთეული“.

ეს, რაც შეეხება საქმის პრინციპიალურ მხარეს.

შევხედოთ ეხლა საქმეს რეალურად გადასახადის თვალსაზრისით. ამ მხრივაც დიდი გაუგებრობა ხდება.

დაზღვევის პრემიას ბევრი ადარებს სხვადასხვა სახელმწიფო ბეგარებს და გადასახადებს. აქ დიდი შეცდომა არის და აი როგორი.

დაზღვევის პრემია სახელმწიფო ხაზინაში არ შედის და მთავრობა დაზღვევის პრემიისაგან შემდგარ თანხას რაიმე სახელმწიფო საქმეზე, ვერ დახარჯავს, გარდა თვით დაზღვევის საჭიროებისა. დაზღვევის პრემია, რომელსაც გადასახადს ეძახიან შეადგენს იმ თანხას, რომელიც ინახება დამზღვეველების, ასე ვსთქვათ, „შავი დღისთვის“.

რაზედ იხარჯება ეს თანხა?

აი, რაზედ. მთელი შემოსავლიდან 15 პროც. (ხუთმეტი პროცენტი) შედის სახელმწიფო ხაზინაში, დანარჩენი 85 პროც. (ოთხმოცდახუთი პროცენტი) ამა თუ იმ ფორმით ისევ უკან უბრუნდება თვით დამზღვევლებს (გარდა იმისა, რაც ორგანიზაციაზე იხარჯება), ე. ი. ეს თანხა იხარჯება უპირველესად ყოვლისა უბედურ შემთხვევებზე, შემდეგ—ცეცხლშეუპოვარ მასალების ქარხნებზე, ცეცხლმქრობელ რაზმების დაარსებაზე, სოფლებში პატარა სააღმშენებლო ცოდნის ტეხნიკუმების დაარსებაზე, გზების გაყვანაზე სოფლებში, სოფლის შუაგულ ადგილებში ჭების ამოყვანაზე და სხვ. და სხვ.

რაც შეეხება დაზღვევის პრემიის რაოდენობას, უნდა ითქვას, რომ ეს პრემია თითქმის არ აღემატება ძველ (ომის წინა დროინდელ) პრემიას და ამასთანავე სახელმწიფო დაზღვევის უმაღლეს მმართველობას უკვე გადაწყვეტილი აქვს პრემიის თანდათანობით შემცირება.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის, რომ სახელმწიფო დაზღვევის წესები, რომელნიც დამტკიცებულია ცენტრალური მთავრობისაგან, ბევრ შეღავათს აძლევს ღარიბ და შეუძლებელ მოქალაქეებს ადგილობრივი აღმასკომების დასტურით. შეიძლება როგორც პრემიის გადახდის შემცირება ან განაწილება, აგრეთვე პრემიის გადახდისაგან მთლად განთავისუფლება ღარიბების და შეუძლებელ მოქალაქეებისა.

შემდეგ წერილებში ჩვენ აღვნიშნავთ ცეცხლისაგან დაზღვევის შემოღებას სოფლებში, დაზღვევას სეტყვისაგან, გვალვისაგან და საქონლის ყოველნაირი სიკვდილისაგან.

ქ. მესხი.

როგორ იცავდნენ მენშევიკები პროფკავშირების „ნეიტრალობას“

პარტიული თუ ნეიტრალური პროფკავშირები—ამ კითხვის გარშემო თავის დროზე დიდი დავა იყო მენშევიკებსა და ბოლშევიკებს შორის. პირველები აყენებდნენ იმ დებულებას, რომ ინტერესები პროფკავშირების გაძლიერებისა და განვითარების მოითხოვს მათ დაშორებას სოციალისტური პარტიის პოლიტიკური და ორგანიზაციული გავლენისაგან. მეორენი კი ჰქადაგებდნენ მუშათა მოძრაობის ამ ორი შტოს (ასეთივე დავა იყო არსებითათ ამ მოძრაობის მესამე სფეროს, კოოპერაციის, ირგვლივაც) თანდათან დაახლოვებას, ურთიერთ გავლენის და თანამშრომლობის გაძლიერებას, პროფკავშირების პარტიულობას.

როგორც მუშათა მოძრაობის ყველა სხვა კითხვების გადაჭრის დროს ამ შემთხვევაშიაც მენშევიზმი კარს უღებდა ბურჟუაზიულ გავლენას პროფკავშირებზე. წინააღმდეგნი პარტიული რევოლიუციონური გავლენისა კავშირებზე, ისინი ხელს უწყობდნენ ფაქტიურათ პოლიტიკის და პარტიის უსაძაგლესი სახის გავლენას მუშათა მოძრაობაზე. მათი ცდა წინააღმდეგი იყო მარქსისტულ-რევოლიუციონური გავლენის კავშირებზე და არა მენშევიკურ-რეფორმისტული პოლიტიკის წარმოებისა იქ და თავის გავლენის გავრცელების. ეს არა ერთხელ დაუმტკიცებიათ მათ წარსულში. და სულ უკანასკნელ დროს ერთ ამგვარივე საინტერესო ფაქტს ჰქონდა ადგილი ბელგიაში.

ბელგიური მენშევიკები პროფკავშირების „ნეიტრალობას“ თავისებურათ ატარებდნენ. თავის დროზე მათ მოახვიეს თავზე ბელგიის კავშირების ცენტრს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ კავშირებში არ ყოფილიყვნენ დაშვებული წევრებათ არა სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები). გადაწყვეტილება მიმართული იყო ერთბაშათ კომუნისტების წინააღმდეგ, რომელთა გავლენა დღითი დღე იზრდება ამ მრეწველობის ქვეყანაში. ერთ დროს კიდევაც მოახერხეს მათ მაგრათ ჩაერაზათ კარები კომუნისტებისათვის. მაგრამ ეს იყო ერთ დროს... მას შემდეგ კი, რაც მუშათა მასებმა საკმაოთ გაუსინჯეს კბილი ბელგიის მენშევიკურ რეფორმისტულ პარტიას და მუშების სულ უფრო და უფრო ფართო მასები რწმუნდებოდნენ ამ პარტიის ღალატში და ბურჟუაზიასთან დამობილებაში, მას შემდეგ რაც გამოაშკარავდა მათთვის, რომ ერთად ერთი პარტია, რომელიც მედგრად ებრძვის ბურჟუაზიას და მის სახელმწიფოს, არის კომპარტია —დაიწყო მოძრაობაც ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მუშათა მასების პროტესტმა მიიღო იმდენათ ფართო ხასიათი, რომ ბრიუსელის პროფკავშირების ცენტრმა გააუქმა ეს გადაწყვეტილება და ამიერიდან ჩვენ პარტიას ფართო საშუალება ეძლევა კავშირებში შესვლის და მუშაობის.

ეს ფაქტი კავშირების ამ გადაწყვეტილების მრავალ რამის მეტყველია. ის მოწმობს იმაზე, რომ ციტადელი ბელგიის რეფორმისტული მენშევიკური პარტიისა კავშირებში საგრძნობლად შეირყა, რომ მექანიკური ძალდატანება და გავლენა, რომელიც უდავო იყო ბელგიის მენშევიკებისათვის დღემდე, ყოველივე ეს გამოესალმა წუთისოფელს და კომპარტია შეიქნა იქაც საკმაოთ დიდი ძალა, რომლის ზრდას ველარ შეაჩერებენ რეფორმისტული ბელადები.

ამ გზით მიდის დღეს განვითარება მუშათა მოძრაობის, ამ გზით იწარმოებს მენშევიზმის დაშლა საერთაშორისო მასშტაბით და ესევე მიგვიყვანს ჩვენ თვით ამსტერდამელების სრულ დაშლამდისაც.

ნარი.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

მდგომარეობა კვლავ რთულდება.

ბერლინი. 20 აგვისტო. თუმცა შტრეზემანის კაბინეტი არსებობს ჯერ მხოლოდ ერთი კვირა, მთავრობის პრესა უკვე ილაშქრებს ზოგიერთ სამრეწველო წრეების წინააღმდეგ ახალ მთავრობის მიერ ქვეყნის ეკონომიურ გაჯანსაღებისათვის მიღებულ ზომებისადმი მათი წინააღმდეგობის გამო.

არ ფიქრობენ ხვალინდელ დღეზე.

მძიმე ინდუსტრია, რომელიც მოწინააღმდეგეა შტრეზემანის, როგორც მსუბუქ ინდუსტრიის წარმომადგენლის, კვლავ იწყებს ბრძოლას ქაღალდის ფულის გამოშვების შემცირების პოლიტიკის წინააღმდეგ.

ფასები დაუბრკოლებლათ იზრდება.

ნახშირის წარმოებების მეპატრონეთა მიერ ნახშირზე ფასების არაჩვეულებრივათ აწევა იწვევს ყველა საქონლის გაძვირებას და ხმარებაში მყოფ ფულის ნიშნების რაოდენობის ზრდას. საზოგადოებრივი აზრი ამას სთვლის მთავრობის განზრახვების შეგნებულ საბოტაჟათ.

63 პროც-ის მაგიერ 200 პროცენტი.

დამახასიათებელია ბერლინის მაგისტრატის სამინისტროებისადმი მიმართული დეპეშა, რომელშიაც გამოთქმულია თხოვნა ხელი შეუშალონ ნახშირის ფასის 200 პროც.-ით გადიდებას 63 პროც-ის მაგიერ. „თუ ეს გადიდება განხორციელდება,—ამბობს მაგისტრატი,—მოსახლეობა ვერ შესძლებს კომუნალურ დახმარების ანაზღაურებას, რადგან არსებული ფასებიც დიდ მღელვარებას იწვევს მოსახლეობის წრეებში“

სხდომებსა და კომისიებში ეძებენ ხსნას.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას აძლევენ მინისტრთა საბჭოს სხდომას, რომელიც უნდა შესდგეს 20 აგვისტოს ებერტის თავმჯდომარეობით, რადგან მოელიან, რომ ამ სხდომაზე გადაწყვეტილი იქნება ეკონომიური და საფინანსო პოლიტიკის მრავალი საკითხი. გარჩეულ იქნება აგრეთვე საკითხი რეიხსბანკის დირექტორების გავენშტეინისა და გლაზენაპის შესახებ, ვინაიდან ამ პირთა გადადგომის დაგვიანება ზიანს აყენებს სოციალ-დემოკრატიის პრესტიჟს.

46 ტრილიონი ფულის ნიშანი დღეში.

ბერლინი. 20 აგვისტო. რეიხსბანკის დირექტორის გავენშტეინის ცნობით, ყოველდღიურათ იბეჭდება 46 ტრილიონი ფულის ნიშანი. 20 აგვისტოს დოლარი 5 500 000 მარკას ფასობდა.

კამპანია შტრეზემანის წინააღმდეგ.

ბერლინი. 20 აგვისტო. რეიხსკანცლერის სასახლეზე ბოროტ-გამზრახველების თავდასხმის გამო, ბერლინში ხმა გავრცელდა, შტრეზემანის მოკვლა უნდოდათო. რეიხს კანცლერს მიყენებული ჰყავს გაძლიერებული მცველები. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ გერმანიის ნაციონალისტების და ტევტონთა სახალხო პარტიის გაზეთები სასტიკ კამპანიას ეწევიან შტრეზემანის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცდა.

კოპენჰაგენი. 20 აგვისტო. დანიის გაზეთ „პოლიტიკენ“-ის თანამშრომელთან საუბრის დროს გერმანიის რეიხსტაგის თავმჯდომარე ლებემ განაცხადა, რომ ის წინააღმდეგია შტრეზემანის პოლიტიკისა. **ლებეს აზრით, ახლო მომავალში გერმანიაში იფეთქებს რევოლიუცია, რომელსაც შედეგათ მოჰყვება გერმანიის დაქუცმაცება.**

სურსათ-სანოვაგის შესყიდვა საზღვარგარეთ.

ბერლინი. 22 აგვისტო. ბერლინში პრეზიდენტ ებერტის თავმჯდომარეობის ქვეშ შესდგა კაბინეტის სხდომა, რომელზედაც განხილული იყო გერმანიის საფინანსო და ეკონომიური მდგომარეობა. თათბირმა ის დასკვნა გამოიტანა, რომ საჭიროა უცხოეთის ბირჟებზე გამონახულ იქნეს სალარი საზღვარგარეთ სურსათ-სანოვაგის შესასყიდათ, რისთვისაც საჭიროა 200-დან 500 მარკამდე ოქროთი. დადგენილია აგრეთვე ხარჯების მაქსიმალურ ეკონომიის განხორციელება. პარტიების ლიდერებთან გამომუშავებულ ზომების შესახებ მოქმედების შეთანხმების შემდეგ, კაბინეტი დაუყოვნებლივ დაიწყებს მიღებულ დადგენილების განხორციელებას.

შტრეზემანის ახალი დეკლარაცია.

პარიზი. 22 აგვისტო. ოფიციოზების ცნობით, შტრეზემანი აპირებს გამოსვლას რეიხსტაგში ახალი დეკლარაციით.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

„რუსეთის ვალიუტა ყველაზე მტკიცეა ევროპაში“.

ნიუ-იორკი. 20 აგვისტო. **პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ფოლმა განაცხადა, რომ რუსეთის ვალიუტა ყველაზე მტკიცეა ევროპაშიო. ფოლის აზრით, ლატვია, ლიტვა და ესტონეთი ორი წლის შემდეგ აღძრავენ შუამდგომლობას მათი რუსეთის შემადგენლობაში შეყვანის შესახებ.**

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი.

თეირანი. 20 აგვისტო. საზოგადოებრივ სამუშაოების სამინისტროსთან დაარსდა კომერციული ინფორმაციის ბიურო, რადგანაც მოსალოდნელია ნორმალური სავაჭრო ურთიერთობის დამყარება რუსეთსა და სპარსეთს შორის.

რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკების შეწყვეტა.

ტირასპოლი. 20 აგვისტო. რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკება დროებით შესწყდა. ოფიციალურ ცნობის თანახმად, რუმინეთის მთავრობა მოელის საბჭოთა მთავრობის თანხმობას მოლაპარაკების განახლებაზე იმ დელეგაციასთან, რომელსაც აქვს მინიჭებული სათანადო რწმუნება. ოპოზიციონერი პრესა ბრალს სდებს მთავრობას მოლაპარაკების გაჭიანურებაში.

საბჭოთა კავშირი და ამერიკა.

სტოკჰოლმი. 20 აგვისტო. **გაზ. „დაგენს ნიუხეტერი“ იტყობინება რუსეთში ნახევრად ოფიციალურ ამერიკელ დელეგაციის მოსალოდნელ გამგზავრების და რუსეთთან ურთიერთობის აღდგენის შესახებ. ამერიკის უმაღლესი წრეები თანაგრძნობით უცქერიან დელეგაციის გამგზავრებას და საჭიროთ სთვლიან მიეცეს რუსეთს ნისიად სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რათა ხელი შეუშალონ რუსეთს ხორბლის იაფად გაყიდვას საზღვარგარეთ და რუსეთის დაახლოვებას გერმანიასთან.**

„ნორმალური ურთიერთობა რუსეთსა და ევროპას შორის აუცილებელია“.

რომი. 20 აგვისტო. „ჯორნალე დ'იტალია“, რომელიც აქამდე წინააღმდეგ იყო განწყობილი რუსეთის მიმართ, საჭიროთ სთვლის რუსეთსა და ევროპას შორის ნორმალურ ურთიერთობის აღდგენას და კმაყოფილებით აღნიშნავს სასამართლოს დადგენილებას რუსეთის საქონლის დაჭერის დაუშვებლობის შესახებ. ტურინის გაზეთ „სტამპა“-ში დაბეჭდილია აღფრთოვანებული წერილი მოსკოვის გამოფენის შესახებ.

საბჭოთა კავშირი და გერმანია.

ბერლინი. 20 აგვისტო. სტატს-სეკრეტარის ფონ-მალცენის თანადასწრებით გერმანიის პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო კვირას რუსეთის ელჩი კრესტინსკი, რომელმაც რწმუნების ბარათი გადასცა ებერტს. ებერტი მიესალმა კრესტინსკის და გამოსთქვა სურვილი, რათა ს. ს. რ. კავშირის კონსტიტუციამ კიდევ უფრო განამტკიცოს ურთიერთობა გერმანიასა და რუსეთს შორის.

ს. ს. რ. კ და ფინეთი.

ფინეთის პრესის ცილისწამების კამპანია.

მოსკოვი. 21 აგვისტო. უკანასკნელ ხანებში ფინეთის ბურჟუაზიის პრესა აწარმოებს ცილისწამების კამპანიას ფინეთში მყოფ ს. ს. რ. კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის წინააღმდეგ, რათა სახელი გაუტეხოს რესპუბლიკების კავშირის წარმომადგენლებს. განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული სრულუფლებიან წარმომადგენლის პირველ მდივანს ამხ. ზალკინდს, რომელიც ასრულებს ფინეთში ს. ს. რ. კა-ის რწმუნებულის მოვალეობას. გაზეთი „გვუდი“ იტყობინება, რომ ამ კამპანიის გამო ამხ ზალკინდმა აღძრა შუამდგომლობა თავის გამოწვევის შესახებ. გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის პრესის განყოფილება კატეგორიულად უარყოფს ამ ცნობას და აღნიშნავს, რომ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრმა ამ დღეებში გამოუცხადა ფინეთის წარმომადგენელს საკსელს პროტესტი ფინეთის პრესის ყალბი ინსინუაციების წინააღმდეგ.

საკონტრიბუციო საკითხი

პარიზი. 22 აგვისტო. საკონტრიბუციო კომისიამ გამოაქვეყნა პარიზში და ლონდონში ზოგადი ანგარიში თავისი მოღვაწეობის შესახებ მისი არსებობის დროის განმავლობაში.

სამუშაო დღის გაგრძელება.

ბერლინი. 22 აგვისტო. შვეიცარიის მთავრობამ დაადგინა გაადიდოს სამუშაო დღე შვეიცარულ რკინისგზებისათვის 1 საათით, ე. ი. 8 საათის სამუშაო დღის მაგიერ 9 საათის დღე შემოიღო.

საფრანგეთის ნოტის გადაცემა.

ლონდონი. 22 აგვისტო. გუშინ პარიზში ინგლისის რწმუნებულს გადაეცა საფრანგეთის ნოტა, რომელიც იმწამსვე დიპლომატიური კურიერის საშუალებით გაგზავნილ იქნა ლონდონში. ნოტის ასლი გაეგზავნა კერზონს, რომელიც ამ ჟამათ შვებულებაშია და პროვინციაში იმყოფება. თუმცა ინგლისის კაბინეტის სხდომა ჯერ არ ყოფილა, მაგრამ ლონდონში მაინც ფიქრობენ, რომ ნოტა საჩქაროდ იქნება განხილული კაბინეტის მიერ ბალდვინის თავმჯდომარეობით.

საფრანგეთის ფრანკი ეცემა.

ლონდონი. 22 აგვისტო. ინგლისის ბირჟის წრეებში გაცხარებით მსჯელობენ საფრანგეთის ფინანსთა მინისტრის განცხადების შესახებ, რომ ფრანკის დაცემა გამოწვეულია უცხო სპეკულიაციით. ამავე საკითხზე „ტაიმს“-ი სწერს: „ციფრებს, რომელიც საფრანგეთის ფინანსთა მინისტრს მოყავს, უნდა მივესალმოთ, რადგან ისინი მეტათ საინტერესონი არიან, მაგრამ მაინც, სანამ რაიმე დასკვნას გავაკეთებდეთ, საჭიროა მთელ რიგ დამატებითი ცნობების მიღება“

სენატორი ბუში საკონტრიბუციო საკითხის შესახებ.

ბერლინი. 21 აგვისტო. ევროპიდან დაბრუნებულმა ამერიკელმა სენატორმა ბუშმა პრეზიდენტ კულიჯთან საუბრის დროს განაცხადა, რომ საკონტრიბუციო საკითხი გადაწყვეტილი იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც დაინტერესებული ქვეყნები გაიგებენ, რომ ამ საკითხს საფუძვლათ უნდა დაედვას ეკონომიური, და არა პოლიტიკური პრინციპები. ბუშის აზრით, ამ ჟამათ მაინც არის იმედი, რომ საკონტრიბუციო საკითხი ჩქარა იქნება გადაწყვეტილი, მაგრამ კონტრიბუციის დასაფარავი ფულების აღება ბოლოს და ბოლოს ამერიკისაგან მოუხდებათ მაინც.

ამერიკელები რურის ოკუპაციის შესახებ.

ბერლინი. 22 აგვისტო. სავაჭრო პალატების საერთაშორისო ყრილობის ამერიკის დელეგაციის მოხსენებაში, რომელიც საფრანგეთის მთავრობას წარედგინა, ნათქვამია, რომ თუ გაუქმებული იქნება რურის ოკუპაცია, მაშინ გერმანიას საშუალება ექნება ნორმალურ მდგომარეობაში მოიყვანოს თავისი მრეწველობა. როგორც მოხსენებაში ნაჩვენებია, საფრანგეთი დიდის სიძნელით იღებს რურიდან ერთს მესამედს იმ ნახშირისა და კოქსისა, რომელიც მას შეეძლო მიეღო კონტრიბუციის ანგარიშში ნორმალურ პირობებში, ე. ი. ოკუპაციის მოუხდენლათ. იმის მტკიცება, რომ საფრანგეთს გერმანიის მაღაროების მუშების დაუხმარებლათ შეუძლია რურში ნახშირისა და კოქსის ამოღება, მოხსენების ავტორის აზრით, ფანტასტიურია.

პუანკარეს განცხადება.

პარიზი. 20 აგვისტო. შარლევილში წარმოთქმულ სიტყვის დროს, პუანკარემ, შეეხო რა საფრანგეთის პასუხს სარეპარაციო საკითხის შესახებ, განაცხადა, რომ დანაშაულად მიაჩნია ყოველი აქტი, ანტანტის დაშლისაკენ მიმართული. პუანკარე უარჰყოფს მტკიცებას, ვითომც ინგლისის ეკონომიურ ცხოვრებისათვის ზიანი მოჰქონდეს რურის ოკუპაციას. პუანკარემ განაცხადა: საფრანგეთს მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს თავისი პოლიტიკა, რომელიც მისი ქვეყნის სურვილებს შეეფერება.

ლონდონი. 20 აგვისტო. საფრანგეთისა და ბელგიის პასუხს ინგლისის ნოტის შესახებ ლონდონში სამშაბათს მოელიან. აღნიშნავენ, რომ საფრანგეთის პოზიცია კვლავ წინანდელი რჩება. ინგლისის გაზეთები ხაზს უსვამენ ყველა დათმობებს, რომელზედაც ინგლისი მიდის ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისათვის.

სამხრეთ-სლავიის კაბინეტის გადაწყვეტილება.

ვენა. 20 აგვისტო. გერმანიის სარეპარაციო ნახშირის მიწოდების შეწყვეტის გამო, სამხრეთ-სლავიის კაბინეტმა გადასწყვიტა გამოვიდეს რუმინიასთან და საბერძნეთთან ერთად გერმანიის მიერ საზავო ხელშეკრულების დარღვევის წინააღმდეგ.

სამხრეთ სლავიის მთავრობის პროტესტი.

ვენა. 20 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ გერმანიის მიერ უარის თქმა იმ სახელმწიფოებისათვის ნატურით მიწოდებაზე, რომელთაც არ მიუღიათ მონაწილეობა რურის ოკუპაციაში, წარმოადგენს საზავო ხელშეკრულებათა დარღვევას და ზიანს აყენებს სამხრეთ-სლავიის სასიცოცხლო ინტერესებს. სამხრეთ-სლავიის მთავრობამ მიმართა სარეპარაციო კომისიას პროტესტით გერმანიის მიერ ნატურით მიწოდების შეწყვეტის წინააღმდეგ.

პუანკარე თავმდაბლობს.

პარიზი. 19 აგვისტო. პუანკარემ ბელგიის მთავრობას გადასცა პასუხი ინგლისის ნოტაზე. პასუხში ნათქვამია: უკეთუ გერმანია შესწყვეტს პასიურ წინააღმდეგობას, მაშინ საფრანგეთი შეამცირებს რურის ოლქში საოკუპაციო ჯარების რაოდენობას, დასტურს მისცემს საოკუპაციო ოლქებისა და გერმანიის დანარჩენ ოლქების შუა თავისუფალ მიმოსვლისას, სამსახურში დააბრუნებს დათხოვნილ რკინისგზელებს და მხოლოდ საფრანგეთის ინჟინერთა კონტროლით დაკმაყოფილდება გერმანიის რკინის გზებზე.

ინგლისის კაბინეტის სხდომა.

ბერლინი. 22 აგვისტო. ლონდონში ჰაეროპლანით გაგზავნილი საფრანგეთის ნოტა განხილულ იქნება დღეს, ინგლისის კაბინეტის სხდომაზე.

ბელგიის საპასუხო ნოტა.

პარიზი. 22 აგვისტო. ბელგიის საპასუხო ნოტა ამ დღეებში გადაეცემა ინგლისის მთავრობას.

საფრანგეთის ნოტის შინაარსი.

პარიზი. 22 აგვისტო. გაზ. „ტანის“ ცნობით, საფრანგეთის საპასუხო ნოტაში ჩამოთვლილია ის მიზეზები, რომელიც ამართლებს საფრანგეთის პოლიტიკას საკონტრიბუციო საკითხში, შემდეგ გაბათილებულია ინგლისის ნოტის არგუმენტაცია საფრანგეთისათვის ოკუპაციის უფლების მინიჭების გამო, დაბოლოს პუანკარე მოაგონებს, რომ თავის დროზე მან მიუთითა საშუალებებზე, რომლითაც ორივე მთავრობისათვის მისაღებად გადასწყდებოდა გერმანიის კონტრიბუციასთან დაკავშირებული საკითხები

ბელგიის ნოტის შინაარსი.

პარიზი 22 აგვისტო. ბელგიის პრესის ცნობით, ბელგიის საპასუხო ნოტაში გაბათილებული იქნება ინგლისის მთავრობის შენიშვნები ბელგიისათვის პრიორიტეტის უფლების (უპირატესობის) მინიჭების შესახებ, იმიტომ, რომ ბელგია მოითხოვს მხოლოდ მისთვის საჭირო თანხას ქვეყნის აღსადგენად, რომელიც სრულებით განადგურდა გერმანიის ოკუპაციის 4 წლის განმავლობაში.

ახლო აღმოსავლეთში

სპარსეთი.

პროტესტი ინგლისის კოლონიალურ პოლიტიკის წინააღმდეგ.

თეირანი. 20 აგვისტო. **ანტი-ბრიტანულ გამოსვლების გაგრძელების გამო, ინგლისის ბანკმა თეირანში პროტესტის ნიშნათ დროებით შესწყვიტა მოქმედება.**

ოსმალეთი.

ლოზანის ხელშეკრულება ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში.

პარიზი 22 აგვისტო. ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრებაში გუშინ მოისმინეს გარეშე საქმეთა კომისიის და ისმეტ ფაშის მოხსენებები ლოზანის ხელშეკრულების შესახებ. „ტან“-ის აზრით, მოხსენების გამო გამართულ კამათს, რომლის ნაწილი იწარმოებს დახურულ კარებში, რამოდენიმე სხდომის მეტი არ მოუნდება. ალბად, ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება.

მოლაპარაკება მოსულის შესახებ.

პარიზი. 22 აგვისტო. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ფეთხი-ბეის განცხადებით, მოლაპარაკება მოსულის და ოსმალეთის ვალის კუპონების გადახდის შესახებ დაიწყება მაშინვე, როგორც კი დამტკიცებული იქნება ლოზანას ხელშეკრულება.

პოლონეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება.

პარიზი. 22 აგვისტო. თანახმად პოლონეთ-ოსმალეთის ხელშეკრულებისა, რომელიც დაიდო ლოზანაში, წესდება ლონდონ ბაღდადის რკინის გზას პირდაპირი ხაზი, რომელიც გაივლის ამსტერდამის, ბერლინის, პოზნანის, კატოვიცის, ლვოვის, ბუქარესტის, კონსტანცის და სტამბოლის გზით. ამ გზით მიმოსვლა უფრო სწრაფი იქნება 13 საათით, ვინემ იმ ხაზით, რომელიც გადის ბუდაპეშტზე. პოლონეთის მთავრობა რკინის გზის ამ ხაზს დიდ მნიშვნელობას აძლევს და ფიქრობს, რომ ის დიდ როლს ითამაშებს პოლონეთის ეკონომიურ ცხოვრებაში.

ხუთშაბათს, 23 აგვისტოს საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტის ბინაზე დანიშნულია

საქართველოს კ. პ. ტფილისის
პლენუმის სხდომა

ყველა წევრთა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ტფ. კ—ის მდივანი რუბენი.

ალმასკომის პრეზიდიუმი

ატყობინებს განათლების განყოფილების სექციაში ჩაწერილ საბჭოს ყველა წევრებს, გამოცხადდენ ალმასკომის დარბაზში 23 აგვისტოს საღამოს 6 საათზე დანიშნულ საორგანიზაციო კრებაზე, დასწრება სავალდებულოა.

2—2 პრეზიდიუმი.

საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი
წინადადებას იძლევა,
პარასკევს, 24 აგვისტოს
ერთიან პარტიულ დღეს
დღის წესრიგში დასმულ იქნეს საკითხი
„ოქროს მოპოვებიან ხისხის შესახებ“.
თეზისები გამოქვეყნებულია ყველა გაზეთებში.
ტფილისის კომიტეტის მდივანი—რუბენი.

ოკუპაციის გარშემო

საფრანგეთი დახმარებას უწევს სეპარატისტებს.

ბერლინი. 24 აგვისტო. გაზ. „მანჩესტერ გარდიენის“, ცნობით სეპარატისტული მოძრაობა რეინლანდში ფართოვდება. ფრანგები სრულიად აშკარად ხელს უწყობენ სეპარატისტებს, კერძოდ აძლევენ შეიარაღების ნებართვას.

სასურსათო მდგომარეობა.

პარიზი. 22 აგვისტო. სასურსათო მდგომარეობა დაკავებულ რაიონებში უკანასკნელ ხანებში ცოტაოდნად გამოკეთდა. დორტმუნდის თვითმმართველობამ დაიწყო მცხოვრებთათვის ულუფების მიცემა.

სისხლის მღვრელი შეტაკებანი მაინცში.

პარიზი. 22 აგვისტო მაინცში მუშები სცდილობდენ ადგილობრივ თვითმმართველობის დაკავებას. ჩაერია პოლიცია, რასაც შედეგად მოჰყვა 12 კაცის დაჭრა.

შორეულ აღმოსავლეთში

იაპონია

ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულება.

ტოკიო. 20 აგვისტო ვაშინგტონის საზღვაო ხელშეკრულების რატიფიკაციათა გაცვლა-გამოცვლამ პრესის ერთს ნაწილში დიდი აღტაცება გამოიწვია. მეორე ნაწილში კი—დიდი გულისწყრომა. იაპონიის გაზეთები სწერენ, რომ ამერიკის მიერ თავდაცვის გასაძლიერებლად გადადებული 110 მილიონ დოლარში მოქცეულია ასიგნობა შეტევის სამზადისათვის, რაც უფრო სახიფათოა იაპონიისათვის ვიდრე ინგლისის პროექტი სინგაპურში ბაზის გაფართოვებისა.

აფრიკა

აფრიკაში

პარიზი. 22 აგვისტო. ესპანეთის სამხედრო წრეებს დიდი გაცხოველება ეჩნევა. მელილაში გაიგზავნა რამოდენიმე სამხედრო ნაწილი. დანარჩენი სამხედრო ნაწილები ემზადებიან გასამგზავრებლათ ადგილობრივ მცხოვრებლების მიერ მელილაში ალყა შემორტყმულ ესპანელთა გარნიზონის საშველათ. ფლოტმა დემონსტრაცია მოაწყო ალხუსემახის წინააღმდეგ. მზვერავთა ცნობით ადგილობრივ მცხოვრებლების რაზმები იზრდება.

სხვადასხვა

საბერძნეთი

საბერძნეთის კომპარტიის კონგრესი.

ვენა. 20 აგვისტო. 9 სექტემბერს ათინაში უნდა გაიხსნას საბერძნეთის კომპარტიის კონგრესი დღის წესრიგშია მოხსენებები პარტიის პროგრამის, კომინტერნის უკანასკნელი დადგენილებების და მომავალ არჩევნებისადმი დამოკიდებულების შესახებ.

რუმინეთი

რუმინეთის ვალიუტის დაცემა.

ვენა. 20 აგვისტო. რუმინეთის ლეის კურსის დაცემა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს რუმინეთის პრესაში, რომელიც ბრალს სდებს ინგლისს მცირე ანტანტის სახელმწიფოების ვალიუტის ხელოვნურად დაცემაში, რადგანაც უკანასკნელნი სარეპარაციო საკითხში საფრანგეთს უჭერენ მხარს.

პოლონეთი.

უკრაინის თეთრგვარდიელთა ყრილობა.

ვარშავა. 29 აგვისტო. ვარშავაში უკრაინელ თეთრგვარდიელების ყრილობაზე პრეზიდიუმში არჩეული არიან გენერლები სალსკი, ბეზრუჩკო და პოლკოვნიკი ლევჩენკო.

ყრილობას მიესალმა საქართველოს კომიტეტის დელეგაცია პოლონეთში. ყრილობამ ფეხზე ადგომით მოისმინა პეტლიურას დეპეშა.

ბულგარეთი.

ცანკოვი „ებრძვის“ თავის მტრებს.

ვენა. 20 აგვისტო. სტამბულისკის მთავრობის ყოფილ მიწად-მოქმედების მინისტრს მიესაჯა 15 წლის გამასწორებელი მუშაობა და ყოველივე უფლების ჩამორთმევა 20 წლის ვადით.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი.

ამერიკელ სენატორების მოგზაურობა.

ყაზანი. 21 აგვისტო. ყაზანში ჩასულმა ამერიკელმა სენატორებმა კინგმა, ლაიდმა და ფრიარმა ინახულეს მთელი რიგი დაწესებულებათა და ფაბრიკებისა, იმოგზაურეს აგრეთვე სოფლებში. პრესის წარმომადგენელთან საუბრის დროს ერთმა სენატორმა განაცხადა, რომ მის მიერ ნახულმა სურათმა ორგანიზაციის ახალი პრინციპებით გადააჭარბა ამერიკელების მოლოდინს.

შორეულ აღმოსავლეთის გაწმენდა ბანდებისაგან.

ჩიტა. 21 აგვისტო. ჩუმუყის მიდამოების ჩვენმა ჯარებმა სრულებით გასწმინდეს თეთრგვარდიელ ბანდებისაგან. ტყვედ წამოიყვანეს 20 ოფიცერი, ბრძოლაში მოჰკლეს 8 ოფიცერი. ჩვენს ჯარს დიდი დახმარება გაუწიეს ტუნგუზებმა. თეთრგვარდიელებს სურსათს აწოდებდა იაპონია და მანჯურიასთან ჰქონდათ კავშირი.

მხატვარი რეპინი.

პეტროგრადი. 21 აგვისტო. აკადემიკოს ბეხტერიოვმა გერმანიიდან დაბრუნებისას ინახულა ფინეთში რეპინი. მიუხედავათ მოხუცებულობისა, რეპინი ძალიან კარგათ გრძნობს თავს და ათავებს დ დ სურათს „გოლგოთას“.

ნავთის ამოღება სახალინზე.

ჩიტა. 21 აგვისტო. იაპონელები ენერგიულათ ამუშავებენ ჩრდილოეთ სახალინის ნავთის წყაროებს. მუშაობა ჯარის დაცვის ქვეშ მიმდინარეობს. ამოღებული ნავთი—მაღალი ღირსებისაა.

ბავშვების კონფერენცია.

მოსკოვი. 21 აგვისტო. მოსკოვში დაბრუნდნენ ახალგაზრდა პიონერები ლორინი და ლუშინი, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდენ სრულიად გერმანიის ბავშვთა კონფერენციაზე. დელეგატებმა მოიარეს ბერლინი, ჰამბურგი და ბრემენი და ინახულეს აგრეთვე პირველი პროლეტარული საბავშვო სახლი ტიურინგიაში, სადაც მოხსენებებს კითხულობდნენ რუსეთის ბავშვთა მოძრაობის შესახებ ამ მოგზაურობას მოჰყვა რუსეთ-გერმანიის ბავშვთა მოძრაობის კავშირის გაბმა.

საქონლის მანეთის კურსის შემცირების წინააღმდეგ.

მოსკოვი. 21 აგვისტო. სახელმწიფო გეგმათა სამმართველომ შეუწყნარებლად სცნო ზოგიერთ სამეურნეო დაწესებულებათა მიერ შემცირება საქონლის მანეთის ოფიციალური ინდექსისა მუშებისა და მოსამსახურეებისათვის ხელფასის გასწორების დროს.

„რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების მოლოდინში“

„იზვესტია“-ს წერილი.

მოსკოვი. 22 აგვისტო. გაზ. „იზვესტია“-ს მოწინავე წერილში „რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების მოლოდინში“, ამხ. ვილენსკი სწერს: „იაპონიამ დაჰკარგა სიმშვიდე რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკების განახლების გამო. სარგებლობს რა სამოქალაქო ომით, იაპონია გამოდის ინტერვენციის ინიციატორის როლში და სცდილობს განამტკიცოს თავისი გავლენა მანჯურიაში. პეკინში მყოფმა იაპონიის ელჩმა წინადადება მისცა თავის მთავრობას უარი სთქვას ჩინეთის დღევანდელ მთავრობის ცნობაზე, რათა ხელი შეუშალოს საბჭოთა რუსეთთან ჩინეთის დაახლოვებას. იაპონიის გამოსვლა უშედეგოდ დამთავრდა, როდესაც საბჭოთა რუსეთი გავიდა წყნარ-ოკეანეს ნაპირებზე და გადაიქცა დიდ საერთაშორისო ძალათ შორეულ აღმოსავლეთში,—ჩჟან-ძო-ლინმა ეს მიიღო მხედველობაში.

ჩჟან-ძო-ლინის წარმომადგენლები მიესალმენ საბჭოთა რუსეთს სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ეს მოასწავებს ჩჟან-ძო-ლინის დამოკიდებულების გამოცვლას საბჭოთა რუსეთის და იაპონიისადმი. საბჭოთა რუსეთი აფასებს ჩინეთის სამ პროვინციის ამ მისალმებას და ამაში ხედავს იგი რუსეთსა და ჩინეთს შორის კეთილ-მეგობრულ განწყობილების საწინდარს. განსაკუთრებით ამას აქვს მნიშვნელობა კარახანის მისიისა და ჩინეთ რუსეთის მოლაპარაკების განახლებისათვის.

მაინც საჭიროა ყურადღება მიექცეს მანჯურიის ადმინისტრაციის მოქმედებას, რომელიც ეხება აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზას და რუსეთის ინტერესების და უფლებათა დარღვევას. ეს არის იაპონიის გავლენის ნაშთი.

საბჭოთა რუსეთის მშრომელებზე მანჯურიის ადმინისტრაციის [illegible] მოქმედებამ ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ვიმედოვნებთ, რომ მანჯურიის ადმინისტრაცია არ გაართულებს რუსეთ-ჩინეთის ურთი ერთობას, რაც არა სასურველ გავლენას იქონიებს რუსეთ-ჩინეთის მოლაპარაკებაზე რუსეთის და ჩინეთის რესპუბლიკის მეგობრობა არის საწინდარი აღმოსავლეთ აზიაში ჭეშმარიტი მშვიდობიანობის დამყარებისა“.

მუშკორის ვასილიევის და რკ.-გზ. მოძრაობის უფროსის ვილიჟანინის საქმე

20 აგვისტოს, საღამოს ხუთ საათზე ამხ. სტალინის სახელობის ნაძალადევის თეატრში გაირჩა საქმე გაზ. „კომუნისტის“ მუშკორის ამხ. ვასილიევის, რომელსაც ა | კავკასიის რკინისგზების მოძრაობის უფროსი მოქალაქე ვილიჟანინი ბრალს სდებდა ცილისწამებაში.

საქმის ვითარება მდგომარეობს შემდეგში. ამხ. ვასილიევმა „კომუნისტის“ № 62-ში მოათავსა წერილი, სადაც ამტკიცებდა, რომ მოქალაქე ვილიჟანინი სრულიად ანგარიშს არ უწევს პროფ-ორგანოებს და შრომის დაცვის ინსტიტუტებს და მუშათა მიმართ მოქმედებს ამ დაწესებულებათა გარეშე თავისი შეხედულებების მიხედვით. ამ ბრალდებას მოქ ვილიჟანინი სთვლიდა ცილისწამებათ და სისხლის სამართლის კანონთა კოდექსის. 182 მუხლის ძალით მოითხოვდა მის დასჯას.



მუშკორი ამხ. ვასილიევი

ბრალდებული ამხ. ვასილიევის განცხადება.

სახალხო სასამართლომ გააცნო აუდიტორიას მის განკარგულებაში მყოფ მასალას ამ საქმის შესახებ და თავის დასაცავად სიტყვა გასცა ამხ. ვასილიევს, რომელმაც გადაჭრით უარყო წამოყენებული ბრალდება. მან განაცხადა, რომ იგი მოწოდებულია წმინდათ დაიცვას მუშური პრესის უმწიკვლო პრინციპები, გამოააშკარავოს პრესისათვის უტყუარი ცნობების მიწოდებით ყოველგვარი ბიუროკრატიზმი, ნაკლოვანება ამ ჟამად წარმოებულ საბჭოთა სახელმწიფოებრივ მშენებლობაში. ამ გზიდან მას ვერ გადაახვევინებს ვერავითარი ძალადობა და უშიშრად განაგრძობს მუშკორის წმინდა მოვალეობას ვილიჟანინისადმი ჩემ მიერ წაყენებული ბრალდება უტყუარია და მის მიერ ჩემდამი მოტანილი იერიში პირველი თავდასხმაა მუშათა პრესაზე.

ვილიჟანინის საბრალდებულო სიტყვა.

ამხ. ვასილიევის განცხადების შემდეგ სიტყვა ბრალდების წამოსაყენებლად დ დასასაბუთებლად ეძლევა მოქ ვილიჟანინს. იგი იმეორებს თავის საჩივარში წამოყენებულ ბრალდებებს, სთვლის ვასილიევის მიერ. გამოქვეყნებულ ცნობებს სიყალბით და მის მიმართ უსაფუძვლო ცილის წამებათ, რომელიც ვითომ სრულიად უმართებულოდ შეურაცხყოფას აყენებს მის სახელსა და პატიოსანი მუშაკის ღირსებას. ამ მოსაზრებით იგი მოითხოვს ვასილიევი ცნობილი იქნას დამნაშავედ და კანონისამებრ დაისაჯოს. მოქალაქე ვილიჟანინის სიტყვიდან გამოირკვა, რომ თავის მოქმედების დროს იგი ხელმძღვანელობს მხოლოდ და მხოლოდ ა | კ. რ | გზების სამართველოს უფროსის განკარგულებით, და სრულიად ანგარიშს არ უწევდა პროფ-ორგანოებს.

მოწმეების ჩვენება.

სიმართლის გამოსარკვევად დაკითხულ იქნენ მოწმეები, რომელნიც სხვადასხვა პროფ-ორგანოებიდან იყვნენ გამოწვეულნი.

რ | გზის საუბნო პროფ. კავ. სატარ. ეკონომ. განყოფილების გამგე უსტიაშვილის ჩვენებით ირკვევა, რომ ამასწინად მომხდარ შტატების შემცირება სრულ შეთანხმებულ პროფ-ორგანოების მოთხოვნილებასთან ჩატარებულ იქნა პირადათ თვით ვილიჟანინის მიერ, რომელსაც შეცდომაში შეუყვანია რკინისგზის სამმართველოების უფროსი. შემდეგ რ. | გზის სამმართველოს მიერ გამოცემული განკარგულება შემოკლების გაუქმების შესახებ ვილიჟანინს არ შეუსრულებია. რ | გზის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. დიაკენკო, პეტროვი და სხვები უსტიაშვილის ჩვენებას სავსებით ადასტურებენ და ერთხმად მოწმობენ, რომ მოქალაქე ვილიჟანინს ხშირი უთანხმოება აქვს პროფორგანოებთან მის მიერ წარმოებულ თვითნებურ შემოკლების, მუშა-მოსამსახურეთა უსაფუძვლო სამსახურიდან დათხოვის და გადაყვან-გადმოყვანის გამო; მოწმენი აღიარებენ, რომ ვილიჟანინი, როგორც ძველი ბიუროკრატი, არ სცნობს და სრულიად ანგარიშს არ უწევს პროფორგანოებს. ამ ბრალდებას ისინი ამტკიცებენ მთელ რიგ ახალი ფაქტებით,

ბრალდებულის დაცვა.

ამხ. ვასილიევის დასაცავად გამოდის რ. გზის პროფკავშირის სახელით ამხ. მელიქ-ადამოვი და გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის წარმომადგენელი ამხ. გაბო მალაშხია. პირველი დამცველი გაკვირვებას გამოსთქვამს, რატომ ბრალდებულის სკამზე არ ზის თვით მოქალაქე ვილიჟანინი, რომელმაც თავის ჩვენებაში სავსებით დაადასტურა ამხ. ვასილიევის მიერ წამოყენებული ბრალდებანი. მოქ ვილიჟანინმა თვით აღიარა, რომ იგი მტკიცედ არ იცავდა შრომის დაცვის კანონებს და ხელმძღვანელობდა მხოლოდ განკარგულებით რკ. გზის სამმართველოს უფროსის, რომელიც, როგორც მისივე, ისე მოწმეთა ჩვენებით გამოირკვა შეცდომაში შეჰყავდა მოქ. ვილიჟანინს; დამახასიათებელია ის გარემოება, რომ მოქ. ვილიჟანინი დღემდე ვერ გადაჩვევია „ბატონის“ ხმარებას ვილიჟანინის დახასიათებასთან ერთად იგი პარალელურად ახასიათებს ვასილიევს, როგორც უპატიოსნეს და თავის დანიშნულების სიმაღლეზე მდგარს მუშური პრესის თავდადებულ მუშაკს და მოითხოვს მის გამართლებას.

გაზეთ. „კომუნისტის“ [illegible]ნელის გ. მალაშხიას სიტყვა.

გაზ. „კომუნისტის“ [illegible]ნელი ამხ. მალაშხია, უარყოფს რა მოქ. ვილიჟანინისგან რედაქციისადმი წაყენებულ ბრალდებას, თითქოს გაზ. „კომუნისტ“-მა საშუალება არ მისცა გამოექვეყნებია მას წერილი თავის დასაცავად და სიმართლის აღსადგენად, მიუთითებს გაზ. კომუნისტის ა. | წ. ხუთი აპრილის ნომერზე, სადაც მოთავსებული იყო ვილიჟანინის საპასუხო წერილი. შეავსო რა დამცველ ამხ. მელიქ—ადამოვის სიტყვა ახალი ფაქტებით და დაახასიათა რა ამხ. ვასილიევი როგორც საქმიანი, პატიოსანი და მიუდგომელი მუშკორი, დაუპირდაპირა იგი ვილიჟანინს როგორც გაწვრთნილ, მოხერხებულ და გულჩახვეულ ხრიკების მოყვარულ ძველი ტიპის მოხელეს. ჩვენს მუშკორზე დატრიალებული ამბავი,—ამბობს ამხ. მალაშხია,—კიდევ უფრო მეტად დაარწმუნებს მუშა-ხალხის მეგობართ, რომ აქ, საქართველოში, ბრძოლა მუშებისა და მათ უახლოეს დამცველ მუშკორთა წინააღმდეგ სწარმოებს შეუდრკავად, თუმცა ფარულად.

მუშათა ხელისუფლება მიუხედავად იმისა, რომ მუშებთან შედარებით მატერიალური უზრუნველყოფის მხრივ უპირატესობას აძლევს ე. წ. „სპეცებს“ და რამდენჯერმე უფრო მეტად უზრუნველჰყოფს მათ ნივთიერ მდგომარეობას, მიუხედავად ამისა, ისინი მაინც განაგრძობენ ბრძოლას მუშების წინააღმდეგ და ყოველთვის სიხარულით ეგებებიან შეთხზვევას, რომელიც საშუალებას მისცემს მათ შეურაცხყონ და დაამცირონ მუშათა პრესის ღირსება.

თავის სიტყვის დასასრულს ამხ. მალაშხია მოითხოვს ამხ ვასილიევის გამართლებას და ვილიჟანინის თანამდებობიდან მოხსნას. ამხ. მალაშხიას სიტყვის შემდეგ სასამართლოს წევრები გადიან სათათბიროთ და გამოაქვთ შემდეგი დადგენილება.

განაჩენი.

სახალხო სასამართლომ, გაარჩია რა საქმის ვითარება და სცნო რა დამტკიცებულად, რომ ვილიჟანინი არ ემორჩილებოდა პროფ-ორგანოებს, თვითნებურად ახდენდა შტატების შემოკლებას და შეცდომაში შეჰყავდა რა რ | გზის სამმართველოს უფროსი იჩენდა ბიუროკრატიზმს, რაც საქმის წარმოებას აბრკოლებდა და, სთვლის რა ამავე დროს მუშკორ ამხ. ვასილიევისადმი წამოყენებულ ბრალდებას ცილის-წამების შესახებ სრულიად დაუსაბუთებლად, ადგენს: მუშკორი ამხ. ვასილიევი გამართლებულად ჩაითვალოს.

განაჩენს მრავალრიცხოვანი ხალხი ხანგრძლივი ტაშით შეხვდა.

„საჭირ-ბოროტო საკითხის გამო“

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 22 აგვისტო. მოწინავე წერილში რომლის სათაურია „საჭირ-ბოროტო საკითხის გამო“, გაზეთი „პრავდა“ სწერს: „ფაბრიკა-ქარხნების და სასოფლო სამეურნეო საქონლის ფასებში განსხვავება დღითი დღე აშკარა ხდება და დიდ აურ-ზაურს იწვევს რუსეთის კომპარტიის ყრილობამ აღნიშნა გზები, რომლითაც უნდა წავიდეთ ფასების ნორმალურ პროპორციულობის დასამყარებლად: მრეწველობის კონცენტრაცია, წარმოების რაციონალიზაცია, მეურნეების ინიციატივის გაფართოვება, საქონლის გლეხთან დაახლოვება, ზედ-დართულ ხარჯების შემცირება. ეს უკვე ტარდება ცხოვრებაში, საორგანიზაციო-საწარმოვო მუშაობა უმჯობესდება. ზედ-დართული ხარჯები ისპობა. ქარხნების დირექტორებს საშუალება აქვთ გამოიჩინონ ინიციატივა, მაგრამ ფასებში განსხვავებას მაინც აქვს ადგილი.

ამ მოვლენის მიზეზები შემდეგია: საქონლის თვითღირებულების ზრდით ნედლი მასალის და სათბობი მასალის სიძვირით და ხელფასის ზრდის შეუფარდებლობის გამო (გამოტოვებულია). . წარმოებათა დატვირთვა. შეუძლებელია თქმა, დიდხანს გასტანს თუ არა ასეთი მდგომარეობა. მაგრამ ჩვენი მრეწველობის საორგანიზაციო შენების გაძლიერების და მისი ნაწილების ერთმანეთისათვის შეგუების საერთო ტენდენცია - მოწმობს, რომ ზედმეტია პანიკაზე ლაპარაკი. ნედლი მასალის ფასების ზრდა შეჩერდება მოსავლის შენახვის შემდეგ სათბობი მასალის ფასებიც აღარ აიწევს ასე ერთბაშათ —წარმოების დატვირთვა დაეწევს ხელფასის დატვირთვას. გარდა ამისა საჭიროა მიღებულ იქნას მხედველობაში სახელმწიფოს როლი ფასების ზრდასთან ბრძოლაში“.

რკინის, ნახშირის და ნავთის იმპერიალისტური პოლიტიკა

წინა წერილიდან*) ნათელი უნდა იყოს ყველასათვის, თუ როგორ დიდროლს თამაშობს ნავთის საკითხი დიდტანიან სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკაში. ეს განსაკუთრებით გამოაშკარავდა საერთაშორისო კონფერენციებზე. ვაშინგტონის კონფერენციის მოწვევისას, საფრანგეთის მექარხნეების ორგანო „ლატურნე ინდუსტრიელ“ (1921 წ. ნოემბრის 17 ნომერში) აქვეყნებდა წერილს წყნარ ოკეანეს კონფლიქტის ეკონომიურ მიზეზების შესახებ. წერილის ავტორი დასკვნაში სწერდა: „ორი უმთავრესი საკითხი ნავთისა და ქვანახშირის შესახებ—ითამაშებენ დიდ როლს ვაშინგტონის კონფერენციაზე. უეჭველია, რომ არც შეერთებული შტატები, არც იაპონია არ გადახსნიან თავიანთ ფარულ ზრახვებს ამ საკითხების გარშემო, არ გამოსთქვამენ ხმამაღლა თავიანთ დაფარულ სურვილებს, მაგრამ ეს საკითხები შეიქმნებიან მათი პოლიტიკის ხელმძღვანელები“. ეს დასკვნა მართალი გამოდგა იმ მხრივ, რომ ნავთისა და ქვანახშირის საკითხი რეგულიატორის როლში გამოვიდა არა მარტო ამერიკისა და იაპონიის დიპლომატების პოლიტიკის შორის, არამედ კონფერენციის ყველა მონაწილეთა მიმართ.

ყველას კარგად ახსოვს ის როლი, რომელიც ითამაშა გენუას კონფერენციაზე ნავთის საკითხმა. ინგლისის გაზეთების აზრით, ვერსალის მოლაპარაკებანი თუ 40—50 პროც. იყო მოლაპარაკება მსოფლიოს ნავთის წყაროების გადაყოფის შესახებ, გენუას კონფერენცია ამ მხრივ 90 პროც.-ით ნავთის პრობლემებს შეეხებოდა. ოფიციალურ დელეგატებთან ერთად გენუას კონფერენციაზე არა ოფიციალურად მონაწილეობას იღებდენ ნავთის ტრესტების ხელმძღვანელები. „სტანდარტ ოილი“-ს (ამერიკული) და „შელი“-ს (ინგლისური) ნავთის კომპანიები იყვნენ კონფერენციის ტონისა და შინაარსის მიმცემი. კავკასიის ნავთის წყაროები შეიქნა უმთავრესად გენუას კონფერენციის საჯაო საგნად. ამერიკისა და ინგლისის ინტერესები ძირიანად დაუპირისპირდა ამ საკითხში ერთი მეორეს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა ოფიციალურად მონაწილეობას არ ღებულობდა კონფერენციაზე, მან მაინც შესძლო თავისი პოლიტიკის გატარება. ამერიკისათვის დიდ ზარალს წარმოადგენდა ის, თუ ინგლისი შესძლებდა საერთო ენა გამოენახა საბჭოთა რესპუბლიკებთან და თუ მათი მდიდარი ნავთის წყაროების მოზიარე გახდებოდა. ბაქოს ნავთის საკითხი აქ რადიკალურად წამოიჭრა დიპლომატების წინაშე. დიპლომატებთან ერთად გენუაში გადამჭრელ როლს თამაშობდენ ნავთის საერთაშორისო ტრესტების წარმომადგენლებიც. ამგვარად ბაქოსა და გროზნოს ნავთის კონცესიების საკითხი წამოიჭრა კონფერენციის პირველ რიგში. ინგლისური გაზეთი „ტაიმსი“ სწერდა მაშინ ამ საკითხის შესახებ: „ნავთის სუნი სჭარბობს მთელ კონფერენციაზე და ნავთის საწყობების მეპატრონეებს სიამოვნებით სჯერათ ის კურიოზული მოსაზრება, რომ რამდენიც არ უნდა იმსჯელონ დელეგატებმა კონფერენციაზე, მსოფლიოს ბედის ნამდვილი გადამწყვეტელი მაინც საერთაშორისო ფინანსისტების მეფეები არიან.“ გენუას დიპლომატია სიამოვნებით იკვებებოდა ნავთის სუნითა და დიდი მპყრობელების წარმომადგენლები შეუწყვეტლად აწარმოებდენ მოლაპარაკებას როგორც ურთიერთ შორის, ისე ნავთის ტრესტებთან ან სიახის წყაროების გადანაწილებ ს შესახებ.

როგორც გვახსოვს, ჩვენს ემიგრანტებსაც განვითარებული ყნოსვა აღმოაჩნდათ და ნავთის არომატმა ინტენსიურად აამოძრავა მათი პოლიტიკაც. მთელ რიგ წერილებსა („თავისუფალ საქართველოში“) და ნოტებში მოკავშირეთა მიმართ ისინი მათდა სასარგებლოდ საქართველოს კითხვის გადაჭრას ნავთის საკითხს უკავშირებდენ... თქვენ გინდათ ბაქოს ნავთი?—ეკითხებოდენ ისინი სერიოზული კილოთი ანტანტის სახელმწიფოებს,—ამისათვის საჭიროა ტფილისის განთავისუფლება ბოლშევიკების ბატონობისაგან, რომ ტრანზიტი ნავთისა არ შეფერხდეს და ამიერ-კავკასია მთელი თავისი სამეურნეო დოვლათით თქვენს განკარგულებაში იყოს. თქვენი ინტერესები და ბაქოს ნავთის თავისუფალი ექსპლოატაცია მოითხოვს საქართველოს განთავისუფლებას... ასეთი იყო მენშევიკების ყოფილი მთავრობის ნოტის ლოღიკური არგუმენტაციები მათდა სასარგებლოდ ამეტყველებული.

ნავთმა თავისი გაიტანა. საბჭოთა რუსეთი არ დასთანხმდა წამოყენებულ პირობებს; კერძო საკუთრების რესტავრაციის საკითხი და კერძო საკუთრების დაცვა იმ სახით, როგორც ამას მოითხოვდენ ზოგიერთი იმპერიალისტური სახელმწიფოები, მიუღებელი შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლებისათვის. თვით კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის ნავთის საკითხის გარშემო გარდუვალი ზღუდე აღიმართა და მათ ვერ შესძლეს ერთი საერთო ენის გამოძებნა ამერიკის კაპიტალისტების ინტერესებმა ჩაშალა გენუას კონფერენცია უშედეგოდ.

მოკავშირენი იძულებული შეიქნენ მორიგი კონფერენცია მოეწვიათ ახლო აღმოსავლეთის საკითხის შესახებ. თუ გენუას კონფერენციას ბაქოს ნავთის სუნი აღრჩობდა, ლოზანას კონფერენცია ვერ ასცდა ამ მეტად მიმზიდველი სითხის სუნსა და აქაც წამოიჭრა ოსმალეთის ნავთის საკითხი და ნავთის საშუალებათა გარეშე შეუძლებელი შეიქნა მრავალი სხვა საკითხების განათება. ლოზანას კონფერენციის მთავარი განსახილველი საკითხი იყო ოსმალეთის პრობლემა. ნავთმა აქაც ამოყო თავი: მოსულის ნავთის რაიონი დიდი ხნის განმავლობაში იპყრობდა არა მარტო კონფერენციის წევრთა ყურადღებას, არამედ მრავალ ისეთებისასაც, რომელიც კონფერენციის გარეშე იდგენ, მაგრამ არსებითად დაინტერესებული იყვენ ამ რაიონით. დიდი ხნის განმავლობაში ჩვენი საზოგადოება გამოურკვეველ მდგომარეობაში იყო და ვერ გაეგო რად იდგა ასე მწვავედ ლოზანას კონფერენციაზე ამ „რაღაც მოსულის“ საკითხი. ბოლოს ნავთმა მოსულის რაიონშიაც სინათლე შეიტანა და კონფერენციის ვითარებას ნათელი მოჰფინა.

მოსულის რაიონი შეადგენს მესოპოტამიის ერთ მეტად მდიდარ ნაწილს, მაგრამ მოსულის ვილაიეტი განსაკუთრებით ცნობილი არის თავისი ნავთის წყაროებით. გეოლოგების გამოანგარიშებით მესოპოტამიასა და მის ახლო მდებარე სპარსეთის ნავთის რაიონებში არის 5820 მილიონი ბარელი ნავთის მარაგი (ბარელი უდრის 7 სამი მეოთხედ ფუტს) ეს მეტად გემრიელი ლუკმა არის კაპიტალისტური მსოფლიოსთვის. როგორც ავღნიშნეთ, თუ აქამდე კაპიტალისტური ქვეყნები ერთმანეთს ებრძოდენ ნავთის გასასაღებელ ბაზრების ხელში ჩაგდებისათვის, დღეს ბრძოლის უმთავრესი ცენტრი გადატანილია ნავთის წყაროების დაპყრობისაკენ, ამიტომ მოსულის ვილაიეტი, ნავთის მდიდარი სამეურნეო რაიონი, შეიქნა გაცხარებული დიპლომატიური ვარჯიშობისა და ძლიერ ხშირად, სამხედრო მოქმედების ასპარეზი.

1916 წელს ინგლისმა და საფრანგეთმა ფარული ხელშეკრულებით ოსმალეთის სხვა ტერიტორიასთან ერთად ეს რაიონიც გაიყვეს. მესოპოტამია წილად ხვდა ინგლისს; მოსული კი წაიღო საფრანგეთმა. ინგლისის კაპიტალისტები უკმაყოფილონი იყვენ ასეთი განაწილებით, მაგრამ სდუმდენ რადგან ოსმალეთი ჯერ კიდევ დაუმარცხებელი იყო. ოსმალეთის იმპერიის დამარცხებამ რადიკალურად შესცვალა მოსულის საკითხიც. ოსმალეთის ტერიტორიის დიდი უმრავლესობა დაკავებული შეიქნა ინგლისის სამხედრო ძალებით. მესოპოტამიასა და ბაღდადში ინგლისის მხედრობა შევიდა მხოლოდ მან ისარგებლა შემთხვევით და თავის მესოპოტამიის ტერიტორიას შემოუერთა მოსულის რაიონიც. საფრანგეთსა და ინგლისს შორის უკმაყოფილება განვითარდა ამ საკითხის გარშემო. ინგლისი თავის მხრივ საფრანგეთს შეპირდა ამ რაიონის დათმობაში სარეპარაციო საკითხში დახმარებას და სირიიდან საფრანგეთის წინააღმდეგ მებრძოლ მეფე ფეისალის ჩამოშორებას. ეს მეფე თვით ინგლისმა აამხედრა საფრანგეთის გავლენის ქვეშ მოქცეულ სირიის წინააღმდეგ.

ლოიდ-ჯორჯის დიპლომატიური ხერხის გამო საფრანგეთი მოსულის საკითხში დამარცხდა. კლემანსომ თავისი პოსტი დასტოვა. 1920 წელში მილიერანმა ხელი მოაწერა ინგლისს მოსულის რაიონის დათმობის შესახებ. ასეთი გადაყოფის წინააღმდეგ ამერიკამაც ხმა ამოიღო და ენერგიული პროტესტი განაცხადა. ამერიკა ითხოვდა ღია კარების პოლიტიკას ნავთის საკითხშიაც. ამ საკითხების გარშემო ინგლის-ამერიკის შორის დიდი დიპლომატიური წინააღმდეგობა განვითარდა, რომელიც კონფლიქტით ემუქრებოდა მათ შორის ურთიერთობის საქმეს. შემდეგში ნავთის ტრესტებმა რამოდენიმეთ შეანელეს წინააღმდეგობა და დროებით ჩამოაგდეს ეგრედ წოდებული „ნავთის მშვიდობიანობა“ ინგლის-ამერიკას შორის. ამის შესახებ ინგლისელ ცნობილ ლიბერალ ეკონომისტის პროფ. კეინსის ჟურნალში „ევროპის აღდგენა“ (1920 წ. 6 ივლისი) ავტორი საუცხოვოდ გვიხსნიდა ნავთის პოლიტიკის ძირითად მიზნებს: „ნავთის მშვიდობიანობა დამყარებულია და სან-რემოს ხელშეკრულება დროებით დავიწყებულად უნდა ჩაითვალოს. საუბედუროთ, ეს არაოფიციალური ნავთის ზავი არ იყო გამაგრებული რაიმე ოფიციალურ ხელშეკრულებით ამერიკასა და მის მოკავშირეთა შორის. შეთანხმებანი კი, რასაკვირველია, შესაძლებელი იყო მიღწეულიყო. საფრანგეთმა და ინგლისმა უნდა აღიარონ ყალბად ის დოქტრინა, რომლის თანახმად ნავთის კომერციული კანტროლი აუცილებელია ომის მოსამზადებლად. ნუ თუ არ გვაჩვენა ომმა, რომ კანტროლს აქვს მნიშვნელობა ომის დროს და არა მშვიდობიანობის? განსაკუთრებული კანტროლი რუმინიის ნავთის წყაროებზე შეიქნებოდა საფრანგეთისათვის უსარგებლო, თუ ის არ იქნებოდა ომის დროს ხმელეთისა და ზღვების მპყრობელი რუმინიასა და ბოსფორში. კანტროლი ინგლის სპარსეთის კომპანიაზე შეიქნებოდა უსარგებლო ინგლისისათვისაც, თუ ის არ შეიქნებოდა საზღვაო მპყრობელი სპარსეთის ზღვის ყურეში და სატრანსპორტო გზებზ. სწორია ამის წინააღმდეგიც, რომ ნავთი ვერ უზრუნველჰყოფს ხმელეთისა და საზღვაო ბატონობას“ (იხ. „სოციალისტური მეურნეობა“ № 1 923 წ. გვ. 158) ავტორის უკანასკნელი სიტყვები შეიძლება შეტრიალებული იქნეს შემდეგნაირად, რომ საზღვაო ფლოტის ავტომობილების და ავიაციის წარმატებას საქმე შეუძლებელი არის უნავთოთ, მაგრამ ეს ციტატი ბურჟუაზიული ორგანოსი ჩვენ გარკვევით გვიხსნის, თუ რა უდევს სარჩულად ნავთის თანამედროვე პოლიტიკას. რომ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა უზრუნველჰყონ თავისთვის ნავთის რაიონები, ამისათვის საჭირო არის ძლიერი საზღვაო ფლოტი, მაგარი მილიტარისტული მუშტი და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტების დაჭერა თავის მხრივ კი ნავთი დაუშრეტელ ენერგიას იძლევა სამხედრო ყოველგვარი დარგის გასაფართოებლად. ამ მხრივ ეს ფაქტორები სავსებით შეწონილი არიან ერთმანეთთან. ცხადია, სან რემოში გამარჯვებით ინგლისმა დიდ უპირატესობას მიაღწია ახლო აღმოსავლეთის საკითხში და ამ რაიონში თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და სამხედრო ჰეგემონიისათვის უზრუნველჰყო მოსულისა და სპარსეთის ნავთის წყაროები როგორც ავღნიშნეთ, საფრანგეთის და ამერიკის ინტერესები. ამას ვერ შეურიგდებოდენ და ამიტომ მათი პოლიტიკაც მიმართული იქნა ინგლისის გამოსადენად აღნიშნულ ნავთის რაიონებიდან. საფრანგეთის უკმაყოფილებას საზღვარი არ ჰქონდა სან-რემოს ხელშეკრულების გამო. შემდეგში მან ისარგებლა ინგლისის გართულებული მდგომარეობით ახლო აღმოსავლეთში და მოლაპარაკება გამართა ანგორის მთავრობასთან, რომლის დროსაც მოსულის ნავთის რაიონის საკითხი პირველ რიგში იდგა.

როგორც ვიცით, ქემალ-ფაშის გამარჯვებამ გამოიწვია ლოზანის კონფერენციის მოწვევა. სხვა კითხვებთან ერთად დღის წესრიგში დაისვა მოსულის საკითხიც. ამ კითხვის გარშემო სიმწვავე გამოიწვია აგრეთვე ამერიკის ჩარევამაც. ამგვარად ახლო აღმოსავლეთის პრობლემის გადაწყვეტაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი ნავთის საკითხსაც. 1921 ნოემბრის „ტანი“ მოწინავე წერილში სწერდა, რომ ინგლისის ომი ქემალის წინააღმდეგ აიხსნება მით, რომ ინგლისს არ სურს საშუალება მისცეს ძლიერი დამოუკიდებელი ოსმალეთის არსებობას, რომელსაც შეძლება ექნება ევროპასა და ამერიკასთან დასდვას ხელშეკრულებანი და ნება მისცეს სხვა სახელმწიფოებსაც დაამუშაონ მისი ნავთის წყაროები, რაც მოსპობდა ინგლისის ნავთის მონოპოლიას მცირე აზიაში. ამ პოლიტიკას ინგლისი არ ღალატობდა ლოზანას კონფერენციაზედაც. დღეს ლოზანის პირველი კონფერენცია დამთავრებულია და ჩვენ შეგვიძლია რამდენიმე შესაფერისი დასკვნა გაუკეთოთ ამ კონფერენციის მუშაობას. როგორც ვიცით, ნავთის საკითხი აქ პირველ რიგში იდგა. ჯერ კიდევ ლოზანას კონფერენციის დასაწყისში ამხ. კარლ რადეკმა თვით დარდანელის საკითხიც ნავთის საშუალებით გააშუქა თავის მეტად საყურადღებო წერილში („Нефтяное освещение Дарданельского вопроса“. „Правда“ № 229, 1922 წ). ჩვენ ოსმალეთის ნავთისათვის ბრძოლას იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის და ამის შესახებ წარმოებულ დიპლომატიურ ჭიდილს ლოზანას კონფერენციაზე უფრო ვრცლად შევეხებით სხვა ალაგას. ახლა მოვიყვანთ ნავთის პოლიტიკის დასახასიათებლად მხოლოდ ერთს მომენტს; საფრანგეთის იმპერიალისტების გაზეთ „ტანის“ გადმოცემით გენერალი ტაუნსენი შემდეგნაირად ხსნიდა ლოზანას პირველ კონფერენციის ჩიხში მომწყვდევის საკითხს: „საჭიროა ინგლისის საზოგადოებრივი აზროვნება დარწმუნდეს იმაში, რომ ლოზანას კონფერენცია მოემწყვდა ქუჩაბანდში განსაკუთრებით მოსულის (ნავთი) საკითხის გამო და კაპიტულიაცია აქ არაფერ შუაშია“.

როგორც ვხედავთ, ნავთის საკითხმა მეტად დიდი ადგილი დაიჭირა საერთაშორისო პოლიტიკაში მთელ რიგ კონფერენციებზე საერთაშორისო იმპერიალისტური პოლიტიკის მესვეურები ნავთის საკითხს ძლიერ ხშირად პირველ რიგში სვამენ და ერთი მეორეს გაცხარებით ებრძვიან ნავთისათვის. ამ სითხის შესაძენად უმოწყალო სისხლი იღვრება მსოფლიოს თითქმის ყველა მნიშვნელოვან ცენტრებში. ამ რიგად ნავთის საკითხი პირველ ხარისხოვან საკითხს წარმოადგენს კაპიტალისტურ მსოფლიოსათვის.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმპერიალისტების პოლიტიკის ენერგიულ ბრძოლას თან მოჰყვა ლიტერატურული კამპანია ამ დარგის სასარგებლოდ. ბურჟუაზიული იდეოლოგია დ პუბლიცისტიკა ყოველთვის ერთგული მსახური იყო კაპიტალისტური მაგნატების. ამ მხრივაც ბურჟუაზიის მსახურები არ ჩამორჩენ ცხოვრების პროგრესს და ისინი დაბეჯითებით არკვევენ მთელ რიგ შრომებში ნავთის საკითხსა და მის ღირებულებას. 1917 წლიდან იმპერიალისტური ლიტერატურა მრავალი შრომებით გამდიდრდა ნავთის საკითხის შესახებ; მათი მთავარი შინაარსი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმპერიალისტურ პოლიტიკასა და ინტერესებთან: „ნავთი და საფრანგეთი“, კეროსინის პოლიტიკა (სენატორი ბერანჟე), „ნავთი“ (დელეზი) „კეროსინის იმპერიალიზმი“ (ლუი ლეპაჟი), „ნავთის საერთაშორისო პოლიტიკა“ (ენქერარი), „ნავთის საკითხის პოლიტიკური მხარე“ (კეინსი) და სხვ

მეცნიერების სხვა დარგიც არ ჩამორჩა ამ საერთო გატაცებას. განსაკუთრებით გეოლოგები გულმოდგინეთ არკვევენ მიწის სიღრმის საიდუმლოებას და მზის სინათლეზე გამოაქვთ იქ დამარხულ უამრავ დოვლათის სიდიადე და რაოდენობა. თითქმის უკვე გამორკვეული არის გეოლოგების მიერ, თუ სად რამდენი მარაგი ნავთისა არის დაგროვილი და რომელ ტერიტორიალურ ერთეულს რამდენი ნავთის მოცემა შეუძლია განსაზღვრულ დროის განმავლობაში. ამ მხრივ თავი ისახელეს ამერიკის გეოლოგებმა, რომლებმაც 1919 და 1920 წლებში დაახლოებით სურათი გადაშალეს ამერიკის ნავთის ჭების მდგომარეობისა და იქ დაგროვილი მარაგის შესახებ. მათი ანგარიშით, ამერიკას 15—20 წლის განმავლობაში თუ ეყოფა თავისი ნავთის მარაგი. ამ გარემოებამ და გამოკვლევებმა უნუგეშო მდგომარეობაში ჩააგდო ამერიკის პოლიტიკოსები და გაარკვევა მათი იმპერიალისტური საერთაშორისო პოლიტიკა ნავთის საკითხში. დღეს უკვე დამთავრებული არის შედარებით გამოკვლევანი იმის შესახებ, თუ სად რამდენი ნავთის მარაგი არის შენახული მიწის სიღრმეში და გეოლოგების მიერ შემუშავებულ სტატისტიკურ ცნობების მიხედვით, იმპერიალისტები ამუშავებენ თავიანთ ნავთის პოლიტიკას. ამის შესახებ დაწვრილებით ცნობებს ჩვენ შემდეგ მოვიყვანთ.

როგორც ვხედავთ, მეცნიერების ყოველი დარგი: ეკონომიკა, გეოლოგია, პოლიტიკა, სტრატეგია, ტეხნიკა დღეს ნავთის საკითხით არის უაღრესად დაინტერესებული. ეს აიხსნება მით, რომ თვით კაპიტალისტური მეურნეობა არის უშუალოდ დაინტერესებული მით წარმოიდგინეთ, მხატვრული ლიტერატურაც კი ხოტბას ასხამს ამჟამად ამ მეტად მიმზიდველი არომატის მქონე სითხეს. მაგრამ საფრანგეთის ცნობილ სენატორმა ანრი ბერანჟემ თავის პოლიტიკურ პანეგირიკში ნავთის მიმართ ყველას გადააჭარბა. 1920 წელში აღნიშნულმა ბერანჟემ პრემიერ კლემანსოს საყურადღებოდ შემდეგი სიტყვებით აღწერა ნავთის მნიშვნელობა: „ვის ხელშიაც იქნება ნავთი, ძალაუფლებაც მას ექნება ხელში. ბატონობა ზღვებზე შესაძლებელია მძიმე ნავთის საშუალებით, ბატონობა ცაში—ბენზინის წყალობით, ბატონობა კონტინენტზე—გაზოლინისა და მსუბუქი ნავთის წყალობით, ბატონობა მთელს მსოფლიოზე—ამ ნავთიერების ფინანსიური სიძლიერის დახმარებით—ნივთიერების, რომელიც უფრო ძვირფასია, უფრო იმორჩილებს თავისთვის ყოველივეს, უფრო გაბატონებულია მთელს პლანეტაზე, ვინემ თვით ოქროც“.

ს. ხ.

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 191.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური პარტიის დაშლა

დამფუძნებელი კრების ყოფილ წევრის, ძველი სოციალ-დემოკრატის ამხ. დამ. გონაშვილის წერილი სიღნაღის ყოფ. მენშევიკების კონფერენციისადმი.

სალამი ამხანაგებო!

ბოდიშს ვიხდი, რომ ჩემი ავადმყოფობის გამო ვერ ვესწრები კონფერენციას, რაც სულითა და გულითა მსურდა.

ამხანაგებო, გილოცავთ დღევანდელ დღეს.

ეს დღე ისტორიული დღეა ჩვენთვის, ყოფილი მენშევიკებისათვის, მას ორნაირი მნიშვნელობა აქვს. პირველი ის, რომ დღეს შეიგნეს ჩვენმა ამხანაგებმა უვარგისობა მენშევიკური მოძღვრებისა, რომელიც ორ ღმერთს ემსახურება: ერთის მხრივ ბურჟუაზიას, მეორე—დემოკრატიას; მას აშკარად ვერ დაეჭირა გარკვეული პოზიცია. ან სულ მარცხნივ, ან სულ მარჯვნივ და მეორე ის, რომ დღეიდან მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრები ადგებიან გარკვეულ გზას და განახლებული ენერგიით იწყებენ რევოლიუციონურ საქმიანობას. ამხანაგებო, მე ოცდა ორი წელიწადია ვიმუშავე მენშევიკურ პარტიაში ვმუშაობდი ერთგულად, ვიდრე რევოლიუცია მოხდებოდა, მაგრამ რევოლიუციის მოხდენის შემდეგ, თანდათან ცივდება ჩემი გული და ბოლოს ჩემმა დამფუძნებელ კრებაში ყოფნამ სულ მთლად მომადუნა, რუსები რომ იტყვიან, „რაზოჩაროვალსია“. დამფუძნებელმა კრებამ ამიხილა თვალები და მათქმევინა, რომ მენშევიკურ პარტიას უნდა მოეჭრას სიტყვა „სოციალ“ და უნდა დარჩეს მარტო დემოკრატიული პარტია. ამის შესახებ მე ბევრჯერ მომივლია დავა ფრაქციაში.

ასე, ამხანაგებო, ჩვენ წინ დგას რთული კითხვა: ან ყველაფერი უარვყოთ და გადავიქცეთ უბრალო მაყურებლად ან-და უნდა ჩავებათ რევოლიუციონურ აღმშენებლობაში ჩვენ, როგორც ძველი რევოლიუციონერები, ვერ მივიღებთ პირველ საკითხს და ხელი უნდა მოვკიდოთ მეორეს. ენერგიულად გადავაბათ ხელი-ხელს ნამდვილ სოციალიზმის მოციქულებთან—კომუნისტებთან და ერთად ვაკეთოდ მუშების და გლეხების საქმე. ამხანაგებო, ბევრი რამ სათქმელი მაქვს, მაგრამ ფიზიკური მდგომარეობა ნებას არ მაძლევს თქვენთან ვიყო.

გაუმარჯოს ნამდვილ მუშურ-გლეხურ პარტიას, კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მესამე ინტერნაციონალს! გაუმარჯოს სოციალიზმს! და გაგიმარჯოთ თქვენ, ამხანაგებო, ახლად დაწყებულ საქმეში.

პატივისცემით დ. გონაშვილი.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა

„ლენინის კუთხე.“

მოსკოვი. 21 აგვისტო. სრულიად კავშირის გამოფენაზე გაიხსნა „ლენინის კუთხე“ რომელშიც ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დამახასიათებელ ექსპონატების გარდა მოთავსებულია ექსპონატები, რომლებიც ახასიათებენ რ. კ. პ. განვითარებას და მის მუშაობას სამხედრო, სამეურნეო და საგანმანათლებლო ფრონტებზე და ცნობები პარტიის შემადგენლობის შესახებ „კუთხეში“ მოთავსებულია ახალგაზრდა მხატვრების სურათები; რომლებიც ახასიათებენ რუსეთის რევოლიუციას და ცალკე მომენტებს ლენინის მოღვაწეობიდან.

უცხოეთის ფირმების ექსპონატები გამოფენაზე.

მოსკოვი. 21 აგვისტო. ყოველ დღე შემოდის უცხოეთის ფირმებისა და ორგანიზაციების ექსპონატები. საერთაშორისო მუშათა დამხმარე კომიტეტმა წარმოადგინა 30 გაერთიანებულ წარმოებაში დამზადებული მანქანები.

ექსკურსანტების 6000 ჯგუფი გამოფენაზე.

მოსკოვი. 21 აგვისტო. აგვისტოს 21-ს სრულიად საკავშირო გამოფენა დაათვალიერა 6000 საექსკურსიო ჯგუფმა, ცალ-ცალკე პირთა გარდა

800 ვაგონი ექსპონატებით.

მოსკოვი. 21 აგვისტო. გამოფენაზე მოდის ახალი ექსპონატები მეორე რიგისა, მომეტებულად ჩრდილოეთის ოლქებიდან, კერძოთ—ხოლმოგორიის მეწველი საქონლისა და ჩერეპოველის გუბერნიის რქიანი საქონლისა. გამოფენაზე მიღებულ ექსპონატების საერთო რაოდენობა 800 ვაგონს უდრის.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარა.

ამხ. სემაშკოს გამგზავრება.

ბათომი. 21 აგვისტო. რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო გემ. „პასტელ“-ით ბათომიდან გაემგზავრა 2 აგვისტოს შავი ზღვის სანაპიროებზე მდებარე კურორტების დასათვალიერებლად.

პრინც ნოსატოს-სალტანეს გავლა.

ბათომი. 21 აგვისტო. დღეს თეირანიდან პარიზში მიმავალი პრინცი ნოსატოს-სალტანე ბათომიდან გავიდა, შაჰის ბიძის, სპარსეთის კონსულის თანხლებით.

ბრძოლა უმუშევრობის წინააღმდეგ.

ბათომი. 21 აგვისტო. უმუშევრობასთან საბრძოლველად, შრომის კომისარიატის კოლეგიამ ცენტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა უმუშევართა ფონდიდან თანხა გადაიდოს უმუშევართათვის საწარმოო სახელოსნოების დასაარსებლად.

აზერბეიჯანი

შახსეი ვახსეი.

ბაქო. 21 აგვისტო. საზოგადოებრივ მყუდროებისა და წესიერების დასაცავად, აზერბეიჯანის აღმასრულებელმა კომიტეტმა მუჰარემის დღესასწაულის დღეებში აკრძალა ყოველგვარი რელიგიური დემონსტრაციები.

სომხეთი

შირაქის არხი.

ერევანი. 21 აგვისტო. ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო ხარჯთ-აღრიცხვა შირაქის არხას გასაყვანად სოფ. ორთაქილისამდე. აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარემ მიიღო დეპეშა, რომ ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა ამ საქმისათვის გადასდო 350.000 მანეთი, რომლიდანაც ერთი მესამედი უკვე მიღებულია.

რადიო-სადგური ერევანში.

ერევანი. 21 აგვისტო. ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის განკარგულებით, ერევანში მიემგზავრება ინჟინერი წვერავა რადიო-სადგურისა და რადიო-ტელეგრაფის სადგურის დასადგმელად.

ბულდაშის არხი.

გუმბრი. 21 აგვისტო. გუმბრის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა აღადგინოს ბულდაშის არხი, რომელიც 12 სოფელს მიაწვდის წყალს.

თურქ მასწავლებელთა მოსამზადებლად.

ერევანი. 21 აგვისტო. აგვისტოს 18-ს, სახალხო განათლების კომისარიატის თაოსნობით გაიხსნა თურქების სკოლების მასწავლებელთა მოსამზადებელი კურსები.

დანგრეული სახლების აღდგენა.

ერევანი. 21 აგვისტო. მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატი შეუდგა ერევნის მაზრის მთა-ადგილებში და ზედიბასარის რაიონში წინასწარ მუშაობას დანგრეულ შენობების გამოსაყენებლად სახლების აღსადგენად.

თაფლი.

გუმბრი. 21 აგვისტო. ალავერდის მხარეს თაფლის ამოღება დასრულდა. თაფლი საშუალო რაოდენობისა მოგროვდა.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

გუმბრი. 21 აგვისტო. ალავერდის მხარეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა წარმატებით მიდის. ჯერჯერობით გადასახადი ფულად შეაქვთ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(22 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	29,300
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ.—	2,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ	29,200
ჩეკები —	27,200
დოლარები ეფექტ. —	6,450
„ ჩეკები —	5,900
ო მ. ქალ. ლირა ეფექტ.	4,250
იტალიური ლირა — —	220
ფრანგული ფრანკი —	300
საბჭ. ფულის ნიშ.	19

მოსკოვის ფასები.

(22 აგვისტო).

პური გირ.—150 ათ. ნატეხი შაქარი—1.600 ათ., ფხვნილი შაქარი—1.250 ათ. ძროხის ხორცი—500 550. ცხვრის ხორცი—750. თუშური ყველი 700 860. ჰოლანდიური ყველი—800. მაკარონი—425. ვერმიშელი—400. კარტოფილი—75. პამიდორი—200 ათ. ხახვი—125. ქვა მარილი—150. მარმარილოს საპონი—600. ბადრიჯანი ც. 25 საპონი „ტოლლე“ -750. კვერცხი—65 ათ. ც. მწვანე ლობიო —100 ათ.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(22 აგვისტო).

პური 1 ხარ.—250 300, პური 2 ხარ.—150. ნატეხი შაქარი—1 600 1,800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1.350. ერბო 1.400—1 800 ათ. კარაქი—1.600 -1 800 ათ. მზესუმზირას ზეთი —900. თუშური ყველი—800 900. იმერული ყველი - 600 ათასი ძროხის ხორცი 500—550, ცხვრის ხორცი—750—800 კარტოფილი—100. პამიდორი 250—300. კომბოსტო -150. ფქვილი გირ.—300 ათ. კვერცხები 10 ც. 550—600. ათასი. მწვანე ლობიო—100 ათ.

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(22 აგვისტო).

ბორჯომის კანიფოლი. ფრანგული გაწმენდილი სკიპიდარი. იტალიანური კონსერვები. გაზისა და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ფანჯრის მინები. ბოთლები. კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ს. მ. უ ს. საფეიქრო, საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსიის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები. რკინეულობა. ხმელი ნარმა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(22 აგვისტოს).

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალამასი კრასნოდარის. ცემენტი პორტლანდის შვეიცარიული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიამანი. ნახიჩევანისა და ბახმუტის ქვამარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“ ყუბანისა და ადგილობრივი ხორბალი. კარტონები კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი ქერი. მზესუმზირას ზეთი რუსეთის. ნედლი ტყავები.

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(22 აგვისტოს).

ნარმა ხმელი 16 ვერშ. 0,073 ჩერ. მეტრი, ფრანკო—გამყიდველის საწყობი. ხმელი ნარმა 16 ვერშ.—0,075 ჩერვ. მეტრი. ნატეხი შაქარი ჰოლლანდიური 14 ოსმალური ქაღალდის ლირა ფუთი, ფრანკო-ბათომის საბაჟო.

ტფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

ტფილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 22 აგვისტოს: მტკიცეთაა ტეხნიკური ცხიმები და 1 ხარ. საპონი; დანარჩენ ბაზრებზე განსაკუთრებული ცვლილება არ მომხდარა.

პროფკავშირებში

ქალაქის სოფელთან დაკავშირება.

კავშირების აფხაზეთის განყოფილებებმა შეფობა მიიღეს ნუმისეტინის მაზრის სოფლებზე, სადაც იგზავნება გაზეთები, ჟურნალები, წიგნები და მიემგზავრებიან პროფმუშაკები მოხსენებებით გლეხებისათვის გარეშე ამბების გასაცნობათ.

შეფობა წითელ არმიაზე.

განათლების მუშაკთა კავშირის აფხაზეთის განყოფილებამ კულტურული შეფობა მიიღო წითელი არმიის ყველა ნაწილებზე, რომელნიც აფხაზეთში არიან დაბანაკებული.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის წევრების საერთო საქალაქო კრება.

ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა კავშირის წევრების საერთო-საქალაქო კრებამ მოისმინა ამხ. ჟვანიას მოხსენება საჰაერო ფლოტის მნიშვნელობის შესახებ. დაადგინა მოუწოდოს კავშირის ყველა წევრებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ჰაეროპლანების „ბოლშევიკი“-სა და „საქართველოს პროფკავშირები“-ს აშენებაში, და აგრეთვე ჩაეწერონ საზოგადოება „ზაკავია“-ს წევრებათ; კავშირის თვითეული წევრი ვალდებულია შეიძინოს „ზაკავია“-ს აქციები.

საჰაერო ფლოტისთვის

მოწოდება

ს. ს. რ. საქართველოს ხელოსნებისადმი.

ამხანაგო ხელოსნებო! დღეს, როდესაც ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელმა ხალხმა უკვე შეიგნო ძლიერი ჰაეროფლოტის შექმნის აუცილებლობა და უკვე შეუდგა ამ საქმის აღსრულებას თავისი პროლეტარულ ხელისუფლების და პროლეტარულ სამშობლოს დასაცავად მტარვალ ბურჟუაზიისაგან, რომელიც ჩვენს რესპუბლიკის ირგვლივ შემორტყმულია და ეძებს მხოლოდ საბაბს რათა ჩვენ წინააღმდეგ გამოილაშქროს,—ჩვენ, საქართველოს ხელოსნებსაც, როგორც მუშათა ხალხის საერთო ოჯახის ნაწილს, არ შეგვიძლია გვერდი აუქციოთ ამ საერთო აღფრთოვანებულ მუშაობას და არ შევიტანოთ ჩვენი წვლილი წითელ საჰაერო ფლოტის შექმნის დიად საქმეში.

გარემოება დაჟინებით მოითხოვს ჩვენგან, რათა ერთ ხელში მტკიცეთ გვეჭიროს ჩაქუჩი და ნამგალი ჩვენი კულტურის და ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხოლო მეორე ხელში სასტიკი ომის იარაღი ჩვენი საზღვრების დასაცავად დაუნდობელ მტრებისაგან. ამ იარაღთა შორის თანამედროვე ომში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს ჰაეროფლოტს, რომელიც ჩვენს მტრებს უკვე აქვთ და რომლის შექმნა ჩვენთვის დაყენებულია დღის წესრიგში ამ საქმეში მთავრობის მიერ აუცილებლად არის ცნობილი გარდა სახელმწიფოს ინიციატივისა, აგრეთვე კერძო ინიციატივა და ჩვენდა სასიქადულოდ ამ კერძო ინიციატივამ უკვე იჩინა თავი; სხვა და სხვა ორგანიზაციები უკვე აგროვებენ ფულს ჰაეროპლანისათვის.

ამ დიად საქმის აუცილებლობა უკვე შეიგნო ჩვენმა ხელოსნებმაც და რამოდენიმე დღის წინათ ქ. ტფილისის ხელოსანთა კრებამ, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ათასი კაცი, ერთხმად დაადგინა, ხელოსანთა ხარჯით აშენებულ იქნას ერთი ჰაეროპლანი „თვითმშრომელი“ და ამ ჰაეროპლანს ეწოდოს ფილიპე მახარაძის სახელი.

ამხანაგებო! დადგენილება ჩვენ აუცილებლად უნდა განვახორციელოთ სულ მოკლე ხანში. დეე, საბჭოთა წითელ მეომარ ფრინველთა გუნდში ითარეშოს საქართველოს ხელოსანთა გულადმა და დაუნდობელმა წითელმა არწივმა და მან სხვებთან ერთად დაიცვას საბჭოთა მშრომელ ხალხის საზღვრები.

არც ერთი საქართველოს ხელოსანი არ უნდა მოერიდოს ამ დიად საქმეს. ყველამ დაუყოვნებლივ უნდა შემოიტანოს თავისი წვლილი ჩვენი სიამაყის, ჩვენი საკუთარ „თვითმშრომელ“ არწივისათვის.

მაშ, გაუმარჯოს საქართველოს ხელოსანთა „თვითმშრომელს“ ფილიპე მახარაძის სახელობის ჰაეროპლანს.

გაუმარჯოს საბჭოთა ურყეველ წითელ ჰაეროფლოტს.

საქართველოს ხელოსანთა ჰაეროპლანის ამშენებელი ცენტრალური კომიტეტი.

პასუხისმგებელი მდივანი

შავიშვილი.

მისამართი: ტფილისი. რუსის ქუჩა, № 3, „თვითმშრომელ ხელოსანთა საზოგადოება“.

მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი

კამპანიის მსვლელობა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში

ცენტრში.

ამიერ კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკათა ცენტრში (ტფილისში) მუდმივად მოდის სისტემატიური დაწვრილებითი ცნობები მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მსვლელობის შესახებ სამივე რესპუბლიკებში. როგორც მიღებული ცნობებიდან სჩანს, აგვისტოს დასაწყისიდან როგორც რესპუბლიკათა ცენტრებში, ისე ადგილებში მთლიან სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მუშაობა მეორე სტადიაში გადავიდა. აღნუსხვის მოწყობა, აღნუსხვასთან დაკავშირებულ საკითხების გამორკვევა და თვით ფაქტიური აღნუსხვაც ადგილებში თითქმის ყველგან დამთავრებულია. მიღებულია ზომები თვით გადასახადის აკრეფის საქმის მოსაწყობად, გადასახადის ფაქტიურად გამოსაანგარიშებლად და მის მისაღებად დამამზადებელს კანტორებში და ფულის კასებში. ცალკე რესპუბლიკებში, რომელთაც მიღებული აქვთ ყველა სათანადო ინსტრუქცია და ცირკულიარი გადასახადის ასაკრეფად, სურათი შემდეგია:

საქართველოში.

აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამად გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს თვითეულ მეურნეობის კუთვნილ გადასახადის გამოსაანგარიშებლად. ზოგიერთს მაზრაში სასწრაფოდ ათავებენ სახნავზე და მსხვილფეხა საკლავ საქონელზე გადატანას. საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატის წინადადებით მაზრებში სასწრაფოდ სწარმოებს სამაზრო აღმასკომების მიერ ცალკე თემების განაწილება მოსავლიანობის მიხედვით. ზოგიერთს მაზრაში, სადაც მოსავალი დაზარალდა სტიქიურ უბედურებათაგან აღნუსხვის შემდეგ, ამჟამად სწარმოებს დაზარალებულ ნათესების ფაქტიური შემოწმება. იმ მაზრებში, სადაც გადასახადი ნატურით უნდა აიკრიფოს, ამზადებენ ტარას და შენობებს მარცვლეულის მისაღებად.

დასავლეთ საქართველოში გრძელდება და ზოგან კიდეც დამთავრებულია დასაბეგვრ ობიექტების აღნუსხვა. ზოგიერთს მაზრაში მაგალითად ზუგდიდისა, ოზურგეთისა, ლეჩხუმისა და რაჭისაში სასოფლო სიების პირველ ცალის შედგენა დასრულებულია და მათი შემოწმება სწარმოებს. აფხაზეთში აღნუსხვა და სასოფლო სიების შედგენა თავდება.

თელავის მაზრა. მოსავლიანობის მიხედვით მთავრობის დადგენილებით თელავის მაზრა აღიარებულია მეექვსე ხარისხად, ესე იგი დესეტინაზე 45—50 ფუთი ხორბლის მოსავლით. თელავის მაზრის აღმასკომი შუამდგომლობს უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა თელავის მაზრის მოსავლიანობის ხარისხი შემცირებულ იქნეს 50 პროცენტით, რათა ამ მაზრის გლეხკაცობამ შესძლოს პირნათლად გაისტუმროს მთლიანი სასოფლო სამეურნეო გადასახადი და ამით მოიხადოს ვალდებულება თავის მთავრობის წინაშე. შუამდგომლობას აღმასკომი შემდეგის მოსაზრებებით ასაბუთებს:

1. ხანგრძლივმა გვალვებმა ამა წლის ივნისსა და ივლისში ხელი შეუშალა ჯეჯილს, რომ დაესრულებინა ზრდა და თავთავის განვითარება, აგრეთვე თავთავში ჩასახული მარცვალი ვერ დასრულდა და მეტი წილი ჩახმა შიგ თავთავშივე, რის გამოც მოსალოდნელი მოსავალი არამც თუ განახევრდა, არამედ მისი მესამედიც არ გამოვიდა.

2. გამუდმებულმა, ხანგრძლივმა კოკისპირულმა წვიმებმა, რომელმაც აგვისტოს 5-დან 17 მდე გასტანა, უკვე მომკილი და კალოებში მოგროვილი ძნები სრულიად გაანადგურა. მაგალითად: ძნის გარეთა პირი შიგნით არშინ ნახევარზე იმდენად დაასველა, რომ ექვს ვერშოკზე უფრო მაღალი ჯეჯილი ამოვიდა. დანარჩენი გული ძნისა იმდენად დასველებული და დანესტიანებულია, რომ იმის გალეწვა-განიავება ყოვლად მოუხერხებელია, ვინაიდან მარცვალი ნოტიოსაგან დაბერილია, დანედლებულია და ზოგიერთ შემთხვევაში დამპალიც არის. ასეთი მდგომარეობა მთელს თელავის მაზრაშია და ამის შესახებ აგრონომების და გამოცდილ პირებისაგან ოქმებიც არის შედგენილი.

3. გამუდმებულ წვიმების მიზეზით მთიდან მოვარდნილმა ნიაღვარმა უამრავი კალო წაიღო და მშრომელი გლეხკაცობა სიმშილ-სიტიტვლის ფაქტის წინაშე დააყენა.

ამას გარდა წინა თვეებში სხვადასხვა დროს მოსულმა სეტყვამ და ადიდებულმა თურდომ და კისისხევმა დიდი ზარალი მიაყენა თელავის მაზრის გლეხობას.

სომხეთში.

სომხეთში ამჟამად სწარმოებს თვითეულ მეურნეობის კუთვნილ გადასახადის გამოანგარიშება. საგადასახადო სიების შედეგებს სამაზრო საგადასახადო კომისიები ამოწმებენ და ამტკიცებენ. სომხეთის დაბლობ რაიონებში, სახელდობრ ეჩმიაძინისა და ერევნის მაზრაში უკვე იკრიფება გადასახადი, როგორც ნატურით, ისე ფულად. გადასახადის ფულად გამოანგარიშების დროს სომხეთში ხელმძღვანელობენ ამიერ-კავკასიის სახალხო სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცებულ დროებითის ეკვივალენტით, რომლითაც ფუთი ხორბალი უდრის 1.700.000 მანეთს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით. სომხეთის რესპუბლიკანურ საგადასახადო კომისიას განზრახული ჰქონდა, რომ ნატურალურ რაიონებში მარცვლეულის გარდა ერბო და კარტოფილიც მიეღო გადასახადის ანგარიშში, რის გამოც შესაფერი სამზადისიც დაიწყო და ადგილებში განკარგულებანი გასცა, მაგრამ ეს დადგენილება ა. | კ. სასურსათო და ფინანსთა სახალხო კომისარიატებმა გააუქმეს და ამიტომ ერბო და კარტოფილი გადასახადში არ მიიღება.

აზერბეიჯანში.

სასოფლო სიები თითქმის ყველგან შემოწმებული და დამტკიცებულია. ეხლა უმთავრესად სწარმოებს თვითეულ მეურნეობის კუთვნილ გადასახადის გამოანგარიშება. ზოგიერთ მთაგორიან რაიონში სასწრაფოდ სწარმოებს ჩამორჩენილ სოფლების აღნუსხვა. ზოგ მაზრაში, მაგალითად განჯისაში სასოფლო სიები საგადასახადო კომისიის მიერ შემოწმების შემდეგ არა სწორად შედგენილი აღმოჩნდა, რის გამოც უკან იქნა დაბრუნებული ხელახლად შესადგენად. აღნუსხვის შემდეგ სახნავის ნაწილი სტიქიურ უბედურებათაგან დაზარალდა. ასეთ შემთხვევებში სამაზრო საგადასახადო კომისიები დაზარალებულ ადგილებს ათვალიერებენ და არკვევენ როგორც ზარალის რაოდენობას, ისე იმას, თუ რა შეღავათის აღმოჩენა შეიძლება გადამხდელთათვის; ასე იყო ჯევანშირის მაზრაში, სადაც ათი სოფელი დაზარალდა სეტყვისაგან და გვალვისაგან, შამქორის მაზრაში, რომელიც დააზარალა სეტყვამ და ხანგრძლივმა წვიმებმა, ზაქათალის მაზრაში, სადაც ერთს რაიონზე ქარიშხალმა გადაიარა სეტყვასთან და წვიმასთან ერთად და 25 მსხვილფეხა და 400 წვრილფეხა საქონელი იმსხვერპლა და შემახის მაზრაში, სადაც მტკვრის პირას მდებარე 16 სოფელი ძალიან დააზარალა წყალდიდობამ.

სალიანის რაიონში სიების არა სწორად შედგენისა და მოსახლეობის მიერ სახნავის თვალსაჩინო ნაწილის გადამალვის გამო ხელმეორედ მოხდა აღნუსხვა; ზოგიერთ შემთხვევაში სახნავის ფაქტიური გაზომვაც მოხდა.

ნახიჩევანის მხარეს 235 სოფლიდან აღნუსხულია მხოლოდ 93 სოფელი, დაგვიანების მიზეზებია: სოფლის საბჭოებისა და აღმასკომების წევრთა მიერ წერა-კითხვის უცოდინარობა, სიშორე და უგზოობა და ბოლოს მალარია, რომელიც მძვინვარებდა და მედიკამენტები და საექიმო დახმარება არსად იყო. მთავრობის დადგენილებით ნახიჩევანის მხარემ გადასახადი ფულად უნდა გადაიხადოს. ახლა იქაური ხელისუფლება შუამდგომლობს, რათა ფულის ნაცვლად ნატურით იქნეს აკრეფილი გადასახადი, რადგანაც ნახიჩევანის მხარეს ფულის ნიშნები არ მოიპოვება.

ქრონიკა

— **გამოვიდა მენშევიკური პარტიის ყოფილ წევრთა სრ. საქ. ყრილობის მომწვევ საინციატივო ბიუროს ბიულეტენის 1-ლი ნომერი.**

— **ამხ. ერქომაიშვილის სახელობის თევზის სამრეწველო.** საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატს იჯარით აქვს აღებული აზერბეიჯანში ოთხი თევზის სამრეწველო, მათ შორის ყარანდონლის სამრეწველო. ამ სამრეწველოს მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ამა წლის აგვისტოს 12-ს მსჯელობა იქონია სამრეწველოს საქმეთა შესახებ, აღნიშნა სამრეწველოს ნაყოფიერება უკანასკნელს ხანს და მუშა და მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესება მას შემდეგ, რაც ეს სამრეწველო საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარიატის ხელშია და ერთხმად დაადგინა: „ეწოდოს ყარანდონლის თევზის სამრეწველოს საქართველოს სახალხო სასურსათო კომისარის ალექსანდრე მიხეილის ძის ერქომაიშვილის სახელობის სამრეწველო“.

— **ჩათახის ქარხნის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცება.** სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა ჩათახის ქარხნის ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის ხარჯთაღრიცხვა, რომელიც უდრის 114,333 მან. და 25 კაპ.

— **საექიმო დახმარება პროვინციის დამზღვევი კასის წევრებს.** ჯანმრთელობის სახ. კომისარიატმა დაადგინა გადასდოს პროვინციის ჯანმრთელობის განყოფილებათა განკარგულებაში 8 მილიარდი მან. და 15 კილო ქინაქინა ადგილობრივ დაზღვეულთათვის საექიმო დახმარების გასაწევათ.

— **ულუფის გადიდება.** რკინისგზის ფიზიკურათ მომუშავეებს გაუდიდდათ ულუფა 1 გირვანქით, ხოლო შაბათობით კიდევ 1 გირვანქით.

— **აისადორა დუნკან ტფილისში.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი მოცეკვავე აისადორა დუნკანი, რომელიც ამჟამად საგასტროლოთ იმყოფება კისლოვოდსკში.

— **მოხსენება პროლეტარულ კულტურის შესახებ.** ახლო ხანში, ტფილისში სრ. რუსეთის პროლეტკულტის თავმჯდომარე ამხ. პლეტნევი წაიკითხავს საინტერესო მოხსენებას პროლეტარულ კულტურის შესახებ.

— **სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე.** რკინისგზის დეპოს ადგილკომმა დაიწყო ჩაწერა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ნახვის მსურველთა, ასეთებს მიეცემათ შვებულება, უფასო სადილი და თავისუფალი მგზავრობის საშუალება.

— **სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში.** საქარ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა წინადადება მისცეს სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს პრეზიდიუმს, რომ მან აღძრას სათანადო ორგანოს წინაშე შუამდგომლობა სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტის დავალიანების დასაფარავად.

— **ლტოლვილთა გადასაყვანად.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადებით მიმართა ფინანსთა სახ. კომისარიატის რწმუნებულს, აღძრას შუამდგომლობა სათანადო ორგანოს წინაშე ლტოლვილთა გადასაყვანად შინაგან საქ. კომ. განკარგულებაში გადადებული იქნას 1,500,000,000 მან.

— **გლეხების გაგზავნა სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.** გლეხების საკავშირო სასოფლო სამეურნეო გამოფენაზე გასაგზავნათ მოსკოვში საქ. სახ. კომისართა საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ა. კ. სახ. კომ. საბჭოს საჭირო თანხის გაღების შესახებ.

— **რევოლიუციის მოღვაწეთა, მეცნიერების და ხელოვნების მუშაკთა შესახებ.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა პროექტი რევოლიუციის მოღვაწეთა, მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკთა უზრუნველყოფის შესახებ შრომის უნარის დაკარგვის დროს—დაუბრუნდეს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატს ხელახლად დასამუშავებლად.

— **სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს წარმომადგენელი ა. კ. რ. კ. გზის სამმართველოში.** სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა აღძრას საკითხი სახ. მეურნეობის უმაღ. საბჭოს წარმომადგენლობის შესახებ ა. | კ. რკინისგზების სამმართველოს სხდომებზე სათათბირო ხმის უფლებით.

— **ხიდის გაკეთება მდინარე ალაზანზე.** სახ. მეურნეობის უმაღლეს ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა მიმართოს შუამდგომლობით ა. | კ. სახ. კომისართა საბჭოს 5,848 მან. (ჩერვონცებით) გაღების შესახებ მდინარე ალაზანზე ხიდის გასაკეთებლად და წნორი-ჭიაურის გზატკეცილის შესაკეთებლად.

— **ტრაქტორების შეძენა საზღვარგარეთ.** ა.—კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ამხ. ვეზირიშვილს დაავალა შეიძინოს იტალიაში ტრაქტორები საქართველოს სასოფლო-მეურნეობის საჭიროებისათვის.

— **აბრეშუმის პარკის რეალიზაცია.** ა.—კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა დაადგინა აბრეშუმის პარკი, რომელიც შეიძინა ცეკავშირმა, გატანილი იქნეს საზღვარ გარეთ რეალიზაციის მიზნით.

— **სამხატვრო-საგიტაციო ექსპედიცია.** განათლების კომისარიატმა შეადგინა სამხატვრო - საგიტაციო ექსპედიცია პროლეტკულტის მეთაურობით. ექსპედიცია ამ დღეებში გაემგზავრება ხაშურსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, ტყიბულსა, სამტრედიასა, ფოთსა და ბათომში საღამოების გასამართავათ.

— **სამეურნეო მანქანები მაზრებისათვის.** ქალ. აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების კომისარიატის წინაშე, რათა მაზრებისათვის მიეცეს მას სასოფლო-სამეურნეო მანქანები საფასურის გადახდით.

— **ამხ. სემაშკო-ლენინის სახელობის ბავშვთა სახლში.** რუსეთის ჯანმრთელობის სახ. კომისარმა ამხ. სემაშკომ დაათვალიერა ლენინის სახელობის ბავშვთა პირველი სახლი. დათვალიერებამ განსაკუთრებული შთაბეჭდილება დასტოვა.

— **ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფო.** განზრახულია ამხ. კამოს სახელობის საავადმყოფოში საწოლების გამრავლება, აღნიშნულ საავადმყოფოში იმყოფებიან განსაკუთრებით მუშები.

— **მუშების წვლილი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.** კარდონების დასამზადებელ ქარხნის მუშებმა საერთო კრებაზე დაადგინეს ყოველთვიურად გაიღონ შემოსავლის დაგვარად წვლილი წითელ საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.

— **რეჟისორი მჭედლიშვილი ტფილისში.** ტფილისში ჩამოვიდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორი მჭედლიშვილი, რომელსაც განზრახვა აქვს 27 აგვისტოს ხელოვანთა სასახლეში მოახდინოს სტუდიელების გამოცდა მოსკოვში მისივე ხელმძღვანელობით არსებულ სტუდიაში ჩასარიცხათ.

— **ქურდობა.** 20 აგვისტოს 1-ლ სამილ. რაიონში, ბოგილოვის ქ. № 17, გაქურდეს ოლღა ელიაშვილის ბინა, საიდანაც წაიღეს ნახევარ მილიარდზე მეტი ღირებულების ნივთები.

— **ბოროტგამზრახველების შეპყრობა.** 20 აგვისტოს მე-5 სამილიციო უბანში თელეთის სადარაჯოს უფროსმა შეიპყრო ვიღაც დავიდოვი და სიდილიანცი, სოფ. დაღეთ-ხაჩინის მცხოვრებნი, რომლებსაც ბრალდებათ ოთხფეხი საქონლის გატაცება.

— **დამხრჩვალი დედაკაცის პოვნა.** მე 5 სამილიციო უბანში, კომუნალურ ქუჩის პირდაპირ მეჩანგლეებმა მტკვარში ნახეს დამხრჩვალი დედაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

— **სტუდენტთა მიმღები კომისია.** სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე შესდგა სტუდენტთა მიმღები კომისია და მუშაობა დაიწყო. თხოვნების მიღება იწარმოებს მხოლოდ 5 სექტემბრამდე. თხოვნის შემოტანის დროს სავსებით შესრულებულ უნდა იქნეს გაზ. „კომუნისტის“ მე-174 №-ში გამოქვეყნებულ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის წესის მე 4 § ი. საანკეტო ფურცლების წარმოდგენა სავალდებულოა.

— **თეატრის გახსნა სოფ. დიღომში.** შაბათს 25 აგვისტოს შესდგება დიღმის თეატრის საზეიმო გახსნა საშა გეგეჭკორის სახელზე. იქნება: მისასალმებელი სიტყვები და სპექტაკლი. დაუკრავს მუზიკა.

უპარტიო გლეხთა კონფერენციები

მისალმებანი საქართველოს კომპარტიის ცეკას.

ატენის თემიდან.

ატენის თემის გლეხთა უპარტიო კონფერენცია ფიცს სდებს საქართველოს კომუნისტურ პარტიის წინაშე თავი დასდოს კომუნისტებთან ერთად პროლეტარული დიქტატურის განსამტკიცებლათ. უპარტიო გლეხთა კონფერენციას სწამს, რომ კომუნისტური პარტია არის პარტია მშრომელების, რომელმაც პირველად დაამსხვრია ჯაჭვი კაპიტალიზმის და მსოფლიოს ერთ მეექვსედ ნაწილზედ დაამყარა მუშურ-გლეხური ხელისუფლება. ბოლშევიკურმა პარტიამ დაამყარა საქართველოში მშვიდობიანობა და მეზობელთა შორის სოლიდარობა, საშვალება მისცა მშრომელ გლეხობას თავისი მეურნეობის აყვავებისა. უპარტიო გლეხთა კონფერენციას სწამს, რომ კომუნისტური პარტია დაამსხვრევს ევროპაში ერთ მუჭა მუქთა ხორა კაპიტალისტების ჯაჭვებს და მის ნანგრევებზედ აღმართავს კომუნიზმის დროშას.

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას, გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციის შტაბს მესამე ინტერნაციონალს!

დირბის თემიდან.

დირბის თემის უპარტიო გლეხთა კონფერენცია, ითვალისწინებს რა თავის წარსულ მონურ ყოფა-ცხოვრებას და თქვენს ლაღ ნაბიჯებს გლეხთა სამუდამო განთავისუფლების საქმეში—გიძღვნით გულითად სალამს და იმედს გამოსთქვამს, რომ როგორც დღემდის, შემდეგშიაც ურყევლათ ივლით და განახორციელებთ მშრომელ ხალხის მიზნებს. მთელი მშრომელი გლეხობა მზათაა პირველი თქვენი მოწოდებისთანავე დადგეს ფეხზედ საერთო მტრებთან საბრძოლველად.

გაუმარჯოს საერთაშორისო მშრომელ ხალხის სოლიდარობას და მის ავანგარდს კომუნისტურ პარტიას.

დირბის თემის გლეხთა უპარტიო კონფერენცია.

პროვინციაში

კიდევ ერთი შეფი.

რკინის გზის საავადმყოფოს მედიკო-სანიტარულმა ორგანიზაციამ მიიღო თავის მზრუნველობის ქვეშ გორის მაზრის ხიდისთავის მთელი თემი. შაბათს 17 აგვისტოს რკინის გზის საავადმყოფოს მთელი ექიმთა და მათ თანაშემწეთა პერსონალი რკინის გზის კულტურულ განყოფილების გამგის ალ. ხუბოვთან ერთად მომღერალთა დასით, საკონცერტო გუნდით და სამხედრო ორკესტრით გაემგზავრა სადგურ გორში, საიდანაც ფეხით შემოიარეს ხიდის თავის სოფლები, შემდეგ შიგ ხიდისთავში შესდგა გრანდიოზული მასიური მიტინგი. მოხსენებები გააკეთეს ქალაქის და სოფლის დაახლოვების და მის მნიშვნელობის შესახებ. მიტინგის შემდეგ დათვალიერებულ იქნა ხიდის თავის და მის მახლობელ სოფლების გლეხობა, რომელთა უმრავლესობაც დაავადმყოფებულია მალარიით. ამ ავადმყოფ გლეხებს უფასოდ დაურიგდა წამლები; გლეხების სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. აღფრთოვანებით ეგებებოდნენ თავიანთ გულშემატკივართა თანაგრძნობას. საღამოს გაიმართა იქვე წარმოდგენა, „რევოლიუციის მოლოდინში“ და კონცერტი ფართო დივერტისმენტით. რკინის გზის ექიმთა ექსკურსია მეორე დღეს დაბრუნდა ტფილისში და სოფლებს აღუთქვა ყოველგვარი დახმარება.

მუშკორი გ. ჩარხიშვილი.

სუფსა (გურია).

დიდი ხანია აქაურ მცხოვრებთა სურვილს შეადგენდა სახალხო სახლის აგება, მაგრამ ყოველი ცდა ამ მიმართულებით უნაყოფოდ რჩებოდა საქართველოს გასაბჭოებამდე ამ ჟამად კი ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა ადგილობრივი აღმასკომის თავმჯდომარე ენერგითა და საქმის სიყვარულით სავსე—დიმიტრი მეგრელიძე. სასწრაფოდ დარღვეული იქმნა ძველი შენობანი: ეკლესია და ძველი სათემო სახლი. მათ შემატა ახალი ნაყიდი მასალები და ერთი თვის შემდეგ სუფსას ექნება უკვე კარგა მოზრდილი სახალხო სახლი, რომელიც დაიტევს 500-მდე კ. უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში უანგარო შრომა მიუძღვის ოზურგეთის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეს კოწია გურგენიძეს, რომელმაც გასულ წელს ამ სახლის სასარგებლოდ გამოიტანა მთავრობიდან 100 მილიონი მანეთი. შემოსწირა წელს მის მიერ შეგროვილი ამხანაგებში, 100 მილიონი, და ყოველ მხრივ ეხლაც ხელს უწყობს ამ საქმის დაგვირგვინებას. უსურვოთ ამ კეთილ საქმეს დასრულება და მის ინიციატორებს გამარჯვება.

ს.

სოფელი შაშიანი (თელავის მაზრა).

ს. შაშიანის სკოლის ძველი შენობა შესდგებოდა ორი ოთახისაგან, რომლებიც სრულებით დაზიანდენ და კედლებიც ინგრეოდა. სოფელი იძულებული იყო ახალი შენობის აგებას შესდგომოდა.

მასალა სასკოლო ოთხი ოთახის ასაგებათ უკვე დამზადებულია. თელავის კომუნალური განყოფილება დაეხმარა სოფელს კრამიტით. სამაზრო აღმასკომმა სესხად მოგვცა 150.000.000 მან. იმედია უმაღლესი მთავრობა და განათლების საქმისთვის ყველა გულშემატკივარი დაგვეხმარება და ოქტომბრისთვის დასაწყისში მაინც სასკოლო შენობა დამთავრებული გვექნება, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყრება სოფლის ახალგაზრდობის აღზრდა განათლების საქმეს.

რ—ძე.

ი. ი. ივანოვის საქმე

ვთხოვ გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციას ადგილი დაუთმოს გაზეთის უახლოეს №-ში ამ ტელეგრამას კ. მიქაშავიძის წერილის საპასუხოთ.

ასლები გზათა სახალხო კომისარის რწმუნებულს, მუშათა და გლეხთა ინსპექციას, სამტრედია-რკინისგზელთა სარაიონო კავშირს, ქუთაისი—ადგილკომს, ტფილისი—გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

გაზეთ „კომუნისტის“ №№ 260 და 17 მოთავსებულ პირველ ორ წერილის შესახებ, რომელნიც არ შეეფერებოდენ სინამდვილეს, ჩემ მიერ წარმოდგენილი იყო დაწვრილებითი მასალა, რომელიც დადასტურებული იყო საერთო კრების დადგენილებით და რომელიც აბათილებს ორივე წერილს. იმის გამო, რომ იმავე გაზეთის № 173 მოთავსებული იყო კოტე მიქაშავიძის წერილი, გაცნობებთ, რომ ის ჩემდამი რწმუნებულ რაიონის მუშათა და გლეხთა ინსპექციის ყოფილი რევიზორია და 21—22 წლების განმავლობაში ერთხელაც არ აღუნიშნავს ჩემს სარევიზიო აქტებში და დოკუმენტებში ჩემი ბოროტმოქმედებანი. პროტესტს ვაცხადებ რა კ. მიქაშავიძის საზიზღარ ცილისწამების წინააღმდეგ, დაბეჯითებით გთხოვთ დანიშნულ იქნეს საჩქაროთ ჩემი მუშაობის და მოღვაწეობის ახალი რევიზია, რადგან აქამდის არა ერთხელ მოხდენილი რევიზიები მას, როგორც ჩანს, არ აკმაყოფილებს. ცილისწამების წერილზე პასუხის გაცემა კი პრესაში ან და მასთან პოლემიკის წარმოება სამსახურში, დროის ზედმეტ და უსარგებლო დახარჯვათ მიმაჩნია, რომელიც ასე საჭიროა დღეს საბჭოთა რესპუბლიკების აღმშენებლობის შემოქმედებითი მუშაობისათვის.

ხე-ტყის დამუშავებათა განყოფილების სვანეთ-რაჭის რაიონის უფროსი: ივანოვი. *)

---

*) ვათავსებთ უცვლელათ ამ ტელეგრამას, რომელიც გამოგვიგზავნა ჩვენ ამ. კავკ. რკინის გზების უფროსმა ამხ. პოზდეევმა, როგორც ამხ პოზდეევი გვატყობინებს, ი. ი. ივანოვის საქმის (იხ. „კომუნისტი“ № 173) გამოსაძიებლად უკვე დანიშნულია კომისია, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები: ა. კ. რკ. გზ. სატყეო სამუშაოს განყოფილების, რკინისგზელთა კავშირის, ინსპექციის და გზათა კომისარიატის რწმუნებულის ამიერ-კავკასიაში. ამნაირათ პირველი მიზანი, რომელსაც ჩვენ ვისახავდით წერილის გამოქვეყნებით, მიღწეულია და გამოვსთქვამთ იმედს, რომ კომისიის მუშაობა შუქს მოჰფენს დაბოლოს ამ საქმეს.

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

თამბაქოს ტრესტის პასუხი

გაზეთ „კომუნისტის" მე-188 ნომერში მოთავსებულია მეთამბაქო მუშის—გიგო აკოფოვის წერილი: „თამბაქოს ტრესტის უყაირათობის ორი მაგალითი".

აღნიშნულ წერილში პირველ მაგალითად დასახელებულია, რომ ქარხნის კანტორებში ზედმეტ მოხელეებს მოუყრიათ თავი და საჭიროა ტრესტის მათგან განტვირთვა.

ტრესტის ქარხნების კანტორებში, მაშინ, როდესაც იგინი საკუთრად აწარმოებდნენ თავიანთ ანგარიშებს და ბუჰგალტერიას—მართლაც, შეიძლება, უკიდურესად განსაზღვრული შტატი არ იყო და ადგილი ჰქონდა ზედმეტ მოხელეების ყოფნას. ტრესტმა სწორედ ამ გარემოებას მიაქცია ყურადღება და გადასწყვიტა თავისი განტვირთვა ზედმეტი ბარგიდან; ამ მიზნით მან მოახდინა ტრესტის მთელი ბუჰგალტერიის ცენტრალიზაცია მთავარ სამმართველოში, რაც ეხლა ტარდება ცხოვრებაში. ტრესტის სამმართველოში ჯერაც არ არის სასტიკად განსაზღვრული შტატი ბუჰგალტერიის და ეს სწორედ იმ მოსაზრებით, რომ სინამდვილემ გამოარკვიოს შტატის აუცილებელი მინიმუმი; კერძოდ ქარხნებში ჯერ კიდევ დარჩნენ ბევრი თანამშრომლები დროებით, რადგან საჭიროა საბუჰგალტერო წიგნების დამთავრება და დახურვა, რასაც მოჰყვება ყველა ზედმეტი თანამშრომლის შემცირება.

მეორე მაგალითად დასახელებულია, რომ მემანქანეები ძალიან ბევრ ცოტად დაზიანებულ პაპიროსს, ან გილზს, სანაგვე ყუთში ყრიანო.

ტრესტს განკარგულება გაცემული აქვს და თვალ ყურს ადევნებს, რომ ყოველგვარი, ცოტათ თუ ბევრად სავარგისი ნივთი გამოყენებული იქნეს. ყველა ქარხნების დირექტორებათ დანიშნულნი არიან პარტიული ამხანაგები წითელი დირექტორები და ტრესტი ფიქრობს, რომ მომჭირნეობას ადგილი უნდა ჰქონდეს.

ტრესტს მადლობის მეტი არაფერი არ ეთქმის გიგო აკოფოვისადმი, მაგრამ უფრო მადლობელი იქნებოდა მისი მაშინ, თუ ყოველ კერძო შემთხვევაში ადგილობრივ მიუთითებდა ქარხნის ადმინისტრაციას ასეთ რამეზედ*).

თამბაქოს ტრესტის დირექტორი
ა. ყორანაშვილი.

---

*) ამხ. ა. ყორანაშვილი ადასტურებს სრულიად ჩვენი კორესპონდენტის ცნობებს. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ მითითებულ ნაკლების გამოსასწორებლად ნაბიჯები უკვე გადაუდგამს ტრესტს; და ჩვენი მიზანიც ეს იყო, როდესაც ვათავსებდით ჩვენი მუშკორის შენიშვნას. რაც შეეხება იმას, რომ ეს საქმე შეიძლებოდა ადგილობრივ გამოსწორებულიყო და გაზეთის ფურცლებზე არ უნდა ყოფილიყო ის გადატანილი, ვიტყვით, რომ, ჩვენი ცნობით, არა ერთხელ ყოფილა ცდა შინაურულად საქმის მოსაგვარებლად, მაგრამ ყოველთვის უშედეგოთ, სანამ გაზეთამდე არ მოაღწია ამ ამბავმა.

რედ.

კიდევ ერთი შემოწირულება მუშებისა

ტფილისის რკ. გზის საქონლის სადგურის მესამე იაჩეიკასთან არსებულ საშეფო კომისიას, ბაკურ ციხის, ურკეთის, ხევის თემების კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობის გასაძლიერებლად შემოსწირეს: ტფილისის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშებმა 269 მილიონი 300 ათასი მან. სამტრედიის რკინის გზის მტვირთველ მუშებმა 9 მილიონი 500 ათასი მანეთი. ტფილისის საბაჟოს მტვირთველ მუშებმა 8 მილიონი. კახეთის და ნავთლუღის რაიონის მტვირთველ მუშებმა 73 მილიონი 500 ათასი მან. გორის რაიონის მტვირთველ მუშებმა 15 მილიონი. ამიტომ საშეფო კომისია უღრმეს მადლობას უძღვნის ილიკო თოდრიას, დათიკო სიხარულიძეს, აკაკი თოფურიას, ამბროსი მახარაძეს და მელიტონ სულაქველიძეს, რომელთაც მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნულ შემოწირულებაში.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

საღამო უმუშევართათვის

ა. წ. 18 აგვისტოს მკერავთა კავშირმა დადგა საღამო მუშათა ცენტრალურ კლუბში. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო. ბილეთები ორი კვირის წინ გაიყიდა. თვითეულ ჩვენი კავშირის წევრს ჰქონდა დავალებული, რომ გაეყიდა არა ნაკლებ ხუთი ბილეთისა. ზემოხსენებული საღამოს მიზანი იყო ის, რომ მთლად ამ საღამოს შემოსავალის ფული ყოფილიყო გადადებული მკერავ უმუშევართა სასარგებლოდ. შემოსულ ფულის განაწილებლად ამორჩეულია კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ამ საქმის მოწესრიგება ახლო მომავალში. ის პირები, რომელთაც ამას წინედ მიიღეს ფულები, მიიღებენ უფრო ცოტას, ვიდრე ისინი, რომელთაც სულ არ მიუღიათ არავითარი დახმარება.

მუშკორი მარო გველესიანი.

საქართველოს ცეკავშირის სტამბა

სტამბა მოთავსებულია პლეხანოვის პროსპექტზე ეს სტამბა სიფაქიზით და სისუფთავით სამაგალითო შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. აქ დაცულია მტკიცედ 8 საათის სამუშაო დღე.

მუშაობა სწარმოებს დილის 7-დან დღის სამ საათამდე, ნახევარ საათის დასვენებით ჩაისთვის. მუშებისთვის შიგ, სტამბაშივე მოწყობილი აქვთ საჩაიე, რომელიც პაწია აუდიტორიას წარმოადგენს. ჩაის დროს თითო მუშას ეძლევა ორი კრუშკა რძე ადმინისტრაციის ხარჯზე. სატარიფო ხარისხები განაწილებულია 7—13 მდე კოლექტიურ ხელშეკრულობით ცეკავშირთან. მუშებს მოსდით ყოველდღიური ქართული გაზეთები; ყავთ თავიანთი ადგილკომი; წასაკითხ წიგნებით მუშები სარგებლობენ ცეკავშირის ბიბლიოთეკიდან. საზოგადოდ ცეკავშირის სტამბის მუშების დამოკიდებულება ადმინისტრაციასთან მეტად განწყობილია და მათი მდგომარეობა ნივთიერადაც დამაკმაყოფილებელია. ერთი თვის შვებულებით დაუბრკოლებლივ და წინდაწინ ჯამაგირის აღებით სარგებლობენ ყველა მუშები, მასთან ადმინისტრაციის ხარჯით მუშების ოჯახები ხშირად აგარაკებზედაც იგზავნებიან. სწორედ ამ სტამბაზე ითქმის „ხელი ხელსა ბანს და ორივე პირსო", როგორც ადმინისტრაცია ზრუნავს მუშებისათვის, ისეც მუშები არ იშურებენ თავიანთ ენერგიას წარმოების ნაყოფიერებისათვის. აი სწორედ მისაბაძი მაგალითი სხვა ჩვენ დაწესებულებათათვის.

მუშკორი გიორგი ჩარხიშვილი.

შეფია საჭირო

ყველასათვის ცნობილია და ყველამ იცის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის მნიშვნელობა და სარგებლიანობა.

თუ ეს ასეა, მაშასადამე რით აიხსნება ის გარემოება, რომ საქართველოში ერთად-ერთს ამხ. „კამოს" სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებელს დღემდე შეფი არა ჰყავს.

ამ სასწავლებლის კომუნისტური ახალგაზრდობა ეძებს შეფს, მაგრამ მათ ყურადღებას არავინ აქცევს.

რაშია საქმე?

ნუ თუ ჩვენმა მომავალმა კვალიფიციურმა მუშა-მშრომელთა შვილებმა ვერ დაიმსახურეს ძველი ამხანაგების დახმარება და ყურადღება?

არა, ეს დაუშვებელია.

აუცილებლად საჭიროა შეფი.

ყველაზე უფრო ამ გვარ სასწავლებლებში დაინტერესებული საბჭოთა ორგანოებიც არ აქცევენ ყურადღებას ამ სასწავლებელს.

ამ გარემოებით მოწაფეები ყველა აღელვებულია; მათ არა იციან, სად წავიდნენ, ვის შესჩივლონ.

ჩვენ გვგონია, რომ შეფი მოწვეული არ უნდა იქნას, ამ სასწავლებლისთვის ასეთი თვითონ უნდა გამოჩნდეს.

იმედი გვაქვს, რომ საბჭოთა საქართველოში მოინახება ისეთი ლმობიერი ცენტრალური დაწესებულება, რომელიც პირველი იტყვის:

„მე ვიქნები ამხ კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სასწავლებლის შეფი"-ო!.

აბა ვინ? პირველად ვინ?!

მუშკორი მასხი.

თამბაქოს მავნებელი თვისებები

თამბაქოს მცენარის სამშობლო ამერიკის კუნძული „ტობაგო" არის; რუსეთში თამბაქოს წევის ჩვეულება მე 16 საუკუნიდან იკიდებს ფეხს.

თამბაქო ეკუთვნის გემოვნებიან ნივთიერებას, რომელსაც ასე მოსწრებულად ახასიათებს პროფ. პეტტენკოფერი: „გემოვნებიან ნივთიერებათა მოქმედება ემგზავსება ზეთის მოქმედებას მანქანის ნაწილებზე, ან მათრახისა ცხენზე. ისინი ამხნევებენ ჩვენს ძალებს და სპობენ ნერვიულ მდგომარეობასო".

თავდაპირველად თამბაქოს მოწევა სასტიკად აკრძალული იყო. ოსმალეთში ამ ჩვეულებისათვის სიკვდილსაც კი უსჯიდნენ, რუსეთში მე-17 საუკუნეში ცხვირს სჭრიდნენ.

მიუხედავად ასეთი ზომებისა, თამბაქოს წევა ძრიელ გავრცელდა მთელ დედამიწაზე, განსაკუთრებით კი ჰოლანდიაში და ბელგიაში. ამ ჟამად მთელ დედამიწაზე თითო ადამიანი წელიწადში საშუალოდ 4 ნახ. გირ თამბაქოს ხარჯავს.

თამბაქოს უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს ფრიად მავნებელი საწამლავი ნივთიერება „ნიკოტინი" შეადგენს.

ნიკოტინი, რომელსაც ასეთი სახელწოდება მიეცა, თამბაქოს საფრანგეთში პირველად შემომტან ჟან ნიკოს წყალობით, ზეთისებურ სითხეს წარმოადგენს. ნიკოტინის საწამლავი თვისება მეტად დიდია.

უმაღლეს ხარისხის თამბაქოში ნიკოტინი ნაკლებია, ვიდრე მდარეში. საშუალოდ თამბაქოს ფურცელში 2-დან 4 პროცენტამდე ნიკოტინი იმყოფება.

თამბაქოს ქარხნებში დამუშავების დროს თამბაქოს მტვერი ჰაერთან ერთად ისუნთქება მუშების მიერ და იწვევს მათ ფილტვების მილების დამტვერიანებას და დაზიანებას (კატარს), რაც ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებს ჭლექს.

ვარდება თამბაქოს მტვერი აგრეთვე კუჭშიც, იქიდან კი გადადის სისხლში, რის გამო ხშირია მოვლენა, როდესაც ნიკოტინი მოხდენილა ორსულ მუშა ქალების საშვილეში და მოუწამლია მუცელი.

ყოველივე ამისათვის ქარხნებში აუცილებლად უნდა იქნეს მოწყობილი ელექტრონის ვენტილიატორები ჰაერის გასაწმენდად.

თამბაქოს წევის დროს, მიუჩვეველს ემჩნევა ნიკოტინით მწვავეთ მოწამვლა, რომლის ნიშნებს შეადგენს თავისბრუალი, გულის მუშაობის შენელება, პირის ღებინება და სხვა. მიჩვეულ თამბაქოს მწეველებზე კი ეტყობა ქრონიკული მოწამვლის გავლენა. თამბაქოს წევა იწვევს ყელის კატარსაც და ბრონხიტს, გულის ძგერას, ნერვების დასუსტებას, უძილობას, მხედველობის შესუსტებას, ხშირად მადის დაკარგვას, კუჭის მოშლას და ყნოსვის მოდუნებას ორსულ ქალების ნაყოფზედაც დამღუპველად მოქმედობს თამბაქო.

თამბაქოს (ბურნუთი) ყნოსვა იწვევს ქრონიკულ სურდოს, თვალების და ცხვირ-ყელის დასნეულებას.

თამბაქოს წევა დამღუპველად მოქმედობს აგრეთვე მცირეწლოვანის აგებულებაზე, სუსტ მკერდიან და ნერვებიან ხალხზე.

ჯანსაღი ადამიანი გადაიტანს ზომიერ თამბაქოს წევას უვნებლად (არა უმეტეს 6 მასხლასა დღე-ღამეში).

თამბაქოს წევის მავნებელი გავლენა შეიძლება იქნეს შესუსტებული თუ:

1) არ მოწევთ ცარიელ კუჭზე.
2) მოერიდებით თამბ. წევას დახურულ სადგომში.
3) ჩატენით მუნდშტუკში ბამბას და
4) მოსწევთ ყალიონით (კვამლის წინასწარ წყალში გატარებით) ან ქარვის ყალიონიდან.

ექიმი გ. ქ.

მუშათა ქრონიკა

— **ზესტაფონის მუშათა კლუბი [illegible].** 28 ივლისს სოფელ ზედა-ზაქარაში ნ. ასათიანის რეჟისორობით გაიმართა წარმოდგენა. დადგმულ იქნა „ბაიყუში" და „მონადირე". წარმოდგენამ მწყობრათ ჩაიარა. წმინდა შემოსავალი 112 749.000 მ. გადაიდვა ზესტაფონის მუშათა კლუბის ასაშენებლად.

— **კულტმუშაობა სადგ. სუფსაში.** სადგ. სუფსის მუშა-მოსამსახურეებმა 29 ივლისს საერთო კრებაზე დაადგინეს, რათა უბანში გაორკეცდეს კულტურული მუშაობა, კინოსათვის კი შეძენილ იქნას ახალი ლენტები.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 29

ს. ს. ს. რ შრომის სახალხო კომისარიატისა.

მეიჯარეთა დასაზღვევი ფულის შეტანის წესის შესახებ.

„სახლის პატრონების მიერ მეიჯარეთა დასაზღვევი ანარიცხების ამავე მეიჯარეების საშუალებით დამზღვევ კასაში შეტანის დროს შემჩნეულ უხერხულობათა და აგრეთვე ამ ნიადაგზე წარმოშობილ გაუგებრობათა ასაცილებლად და სრულიად მოსასპობად, შრომის სახალხო კომისარიატი ამით ადგენს.

1. დაევალოს ყველა სახლის პატრონებს, კომენდანტებს ან მათი თანამდებობის შემსრულებელ პირთ მეიჯარეთა დასაზღვევი ფულის უშუალოდ შეტანა ადგილობრივ დამზღვევ კასაში დაწესებულ ვადაზე, დასაზღვევი ანარიცხების შეტანისათვის არსებულ საერთო წესით.

2. ამა დადგენილების დამრღვევნი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში, თანახმად ა. კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება № 64-სა.

3. დადგენილება ეს ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი ლ. დუმბაძე.

რ. ს დ. სამმართველოს უფროსი ქ. ცომაია.

დადგენილება № 51

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ დაადგინა:

1. სამოქალაქო კოდექსი შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1923 წლის სექტემბრის 1 დან.

2. არავითარი დავა იმ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის გამო, რომელიც წარმოიშვა 1921 წლის თებერვლის 25-მდე, არ მიიღება განსახილველად რესპუბლიკის სასამართლო ან სხვა დაწესებულების მიერ.

3. დავა იმ სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობის გამო, რომელიც წარმოიშვა 1921 წლის თებერვლის 25-დან სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე, მოწესრიგდება იმ კანონით, რაც ურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედებდა.

4. რამდენადაც უფლებრივი ურთიერთობა, მისი წარმოშობის დროს მომქმედი კანონით ნებადართული,—ამ კანონით საკმაო სისრულით ვერ მოწესრიგდება, იმდენად მას უნდა შეეფარდოს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის დადგენილებანი.

5. საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის გაფართოებით განმარტება შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს საჭიროა მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს და მშრომელთა მასის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით

6. აკრძალულია კოდექსის დადგენილებათა ახსნა-განმარტება დამხობილ მთავრობათა კანონებისა და რევოლიუციამდე არსებული სასამართლოების პრაქტიკის მიხედვით.

7. სარჩელის საერთო სამწლიანი ხანდაზმულობა გავრცელდება იმ უფლებრივ ურთიერთობაზედაც, რომელიც წარმოიშვენ საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე.

8. იმ უცხო სახელმწიფოს მოქალაქეთა უფლებანი, რომელთანაც საბჭოთა ფედერაციას ესა თუ ის შეთანხმება აქვს დადებული, მოწესრიგდება ამა შეთანხმებით.

რამდენადაც უცხოელის უფლება გათვალისწინებული არ არის სათანადო მთავრობასთან დადებული შეთანხმებით და სპეციალური კანონით, იმდენად უცხოელის უფლება საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა, პროფესიის არჩევისა, საგაჭრო-სამრეწველო საწარმოოს გახსნისა და შეძენისა, შენობებისა და მიწის ნაკვეთებზე სანივთო უფლების შეძენისა შეიძლება შეზღუდულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთავრობის სათანადო ცენტრალური ორგანოს [illegible] სახალხო კომისარიატთან შეთანხმებისამებრ

შენიშვნა 1. უცხოეთის სააქციო საზოგადოებას, ამხანაგობას და სხვა იურიდიული პირის უფლების მოპოვება საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში შეუძლიან მხოლოდ მთავრობის განსაკუთრებული ნებართვით

შენიშვნა 2. უცხოელი იურიდიული პირი, რომელსაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში ოპერაციების წარმოების ნებართვა არა აქვს, იმ პრეტენზიების გამო, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებს გარეშე აღძვრის და მის ფარგლებში მყოფ მოპასუხეს შეეხება, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკაში სასამართლოს წესით დაცვის უფლებას სარგებლობს მხოლოდ ურთიერთ თანასწორობის საფუძველზე

9. სამოქალაქო კოდექსის მოქმედება გავრცელდება მთლად საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაბაშვილი.**

1923 წ. აგვისტოს 17.

ტფილისი—სასახლე.

დადგენილება № 53

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოთ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიამ დაადგინა:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოკავშირე აფხაზეთის რესპუბლიკისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა სამოქმედოთ 1923 წლ. სექტემბრის 1-დან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ 1923 წ. ივნისის 21 მიღებული საქართველოს სოც საბჭ რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსი.

შენიშვნა: ცალკე შემთხვევაში, იმ საქმის ქვემდებარეობა, რომელსაც ექნება საერთო სარესპუბლიკო მნიშვნელობა და რომელიც შეეხება ყველა იმ რესპუბლიკის ინტერესს, რაც საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ტერიტორიაზეა, ან რამდენიმე რესპუბლიკისას, განისაზღვრება შეთანხმებით იმ რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა, სადაც დანაშაული ჩადენილი იქნა, სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმთან

2. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხორციელებისათანავე გაუქმდეს:

ა. საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების (1921 წლის ივლისის 30 სა) 5, 6, 8, 10, 11, 21-47 მუხლი. იმ ნაწილში, რომელიც სისხლის სამართლის საქმეთა წარმოებას ეხება 49-60, 64, 73, 92 და 117-126 მუხლი;

ბ) მეორე კარი სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-19 ნომრის დადგენილებისა-პროკურატურის შემოღების შესახებ (1922 წ. ნოემბრის 11 სა)

გ). ქართული მსროლელი დივიზიის სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის დებულების (1923 წლ. მარტის 22-სა) 3-6 და 9-12 მუხლი;

დ) პროკურატურის დებულების (1922 წლის ნოემბრის 11-ის) მე 13 მუხლის „გ" პუნქტის ბოლო, სიტყვებიდან: „სახალხო მოსამართლეთა საბჭოსა".

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაბაშვილი.**

1923 წლ. აგვისტო „17"

ტფილისი-სასახლე.

დადგენილება № 72

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულების სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე 4 სესიამ დაადგინა:

1. შემოღებულ იქნეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე სამოქმედოდ 1923 წ. სექტემბრის 1-დან სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მე-4 სესიის მიერ 1923 წ. ივნისის 21 მიღებული დებულება საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების შესახებ.

შენიშვნა. აფხაზეთის მოკავშირე რესპუბლიკასა, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში სასამართლოს ორგანიზაციას, საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სასამართლოს წყობილების დებულებასთან შეფარდებით და სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თანხმობით, განსაზღვრავს სათანადო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

2. სასამართლოს წყობილების დებულების განხორციელებისთანავე:

ა) გაუქმდეს რევოლიუციონური ტრიბუნალების დებულება (1921 წლ. აპრილის 3-ს დამტკიცებული) ყველა შემდგომი ცვლილებით და დამატებით;

ბ) გაუქმდეს საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო სასამართლოს დებულების (1921 წ. ივლისის 30-სა) 1—4, 7, 9 12—20, 49—52 და 111—116 მუხლი;

გ) დამცველთა კოლეგიის დებულების (1922 წ. ნოემბრის 11-სა) პირველი მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„დამცველთა კოლეგია არსებობს ოლქის სასამართლოსთან. დამცველთა კოლეგიების წევრები სასამართლო ორგანოებში საქმეებს აწარმოებენ, როგორც დაინტერესებულ პირთა და დაწესებულებათა მინდობილობით, ისე კოლეგიათა პრეზიდიუმების დავალებით".

ყველგან „სახალხო მოსამართლეთა საბჭო" შეიცვალოს „ოლქის სასამართლო"-თი

დ) პროკურატურის დებულების (1922 წლ. ნოემბრის 11-სა) მე 6 მუხლი შეიცვალოს შემდეგნაირად:

„რესპუბლიკის პროკურორს უშუალოდ ემორჩილებიან: ოლქის პროკურორები, რომელთაც დანიშნავს და გაიწვევს საქართველოს სოც. საბჭ რესპუბლიკის პროკურორი".

3 იუსტიციის სახალხო კომისარს დაევალება მიიღოს ყველა სასამზადისო ღონისძიება და შეიმუშაოს შესაფერი ინსტრუქციები სასამართლოს წყობილების დებულების თავის დროზე განსახორციელებლად.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ცხაკაია.**

იუსტიციის სახალხო კომისარი **ვარძიელი.**

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **პ. ხაბაშვილი.**

1923 წ. აგვისტოს 17.

ტფილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ივნისის თვის „უწყებებში" გამოცხადებულია საკონტროლო კომისიის დადგენილება (ოქმი № 40) გრიგოლ მგალობლიშვილის საქმის შესახებ, სადაც აღნიშნულია: „მოხსნილ იქნას იგი პასუხისმგებელ მდივნის თანამდებობიდან". ეს სიტყვები შეცდომით არის გაშვებული. ამხ. გრიგოლ მგალობლიშვილი რჩება თავის თანამდებობაზე.

ს. კ. თავმჯდომარე: შამბე ლეჟავა.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი იუწყება, რომ ოთხშაბათს, 28 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, რუსთაველის თეატრში დანიშნულია სრულიად საუბნო კრება საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის ორგანიზაც. მე-4 საუბნო კომიტეტის წევრებისა და კანდიდატებისა. დასწრება ყველასათვის სავალდებულოა. 15 წუთით დაგვიანებულ ამხანაგს კრებაზე აღარ შეუშვებენ.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-4 საუბნო კომიტეტი წინადადებას აძლევს იმ ამხანაგებს, რომელნიც მუშაობენ ეხლა, ან წინად მუშაობდნენ ბეჭდვითი სიტყვის ორგანოებში, გამოცხადდენ სარეგისტრაციოდ აგვისტოს 26-დე. რეგისტრაციას ექვემდებარებიან: რედაქტორები, სარედაქციო კოლეგიის წევრნი, კორესპონდენტები და ჟურნალ-გაზეთების მუდმივი თანამშრომელნი.

პასუხისმგებელი მდივანი (ხელის მოწერა).

სააღრიცხვო-სასტატისტიკო განყოფილების გამგე ისაკოვი.

განცხადებანი

დამწუხრებულნი ივანე ვასილის ძე შავგულიძე, თინა და ლევანი, ხინო, დუნია, ბიჭიკო სიჭინავა, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის საყვარელი მეუღლე, მეორენის ძვირფასი დედა, მესამესი ქალიშვილი და მეოთხესი ძვირფასი და

ევპრაქსია სიჭინავა-შავგულიძისა,

რომლის გამოსვენება სოფ. ქვიტირში მოხდება 23 აგვისტოს დილით ხუთშაბათს, ნაშუადღევს 5 საათზე.

1110 1-1

შავი ქვის მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ 25 აგვისტოს დანიშნული მრეწველთა

მეოცდახუთე ყრილობა

გადაიდვა ამა წლის 15 სექტემბრისთვის.

წინეთ გამოცხადებული დღის წესრიგი რჩება.

(კრ 5771—1)

საქართველოს ს. ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი

ამით აცხადებს, რომ კვირას, 26 აგვისტოს, დილის 10 საათზე, ცენტრალური საწყობის ეზოში (ელისაბედის ქ. № 138)

დანიშნულია

სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა

რომლითაც იჯარით გაიცემა ცენტრო-საწყობის შენობების რემონტი და მათი სათანადო გადაკეთება ხორბლეულის მოსათავსებლად და აგრეთვე ცენტრო-საწყობის სახურავის შეღებვა.

იჯარა შეიძლება გაიცეს ნაწილ ნაწილად რამდენიმე პირზე: ნაწილობრივ გამოყენებული უნდა იქნეს ცენტრო-საწყობში არსებული მასალა.

დაწვრილებითი პირობები და სამუშაოს გადათვალიერება შეიძლება სასურსათო სახალხო კომისარიატის მომარაგების განყოფილებაში საქმის დროს (ევანგულოვის ქ. № 2).

ს ს ს. რესპუბლიკის სასურსათო სახალხო კომისარიატი.

(1091—3—2)

ქ. ტფილისის მე-7 უბნის სახალხო მოსამართლე

იწვევს თავის კამერაში 25 სექტემბერს ევდოკია კირილეს ასულ მაჟაისკაიას, როგორც მოპასუხეს, პეტრე ისაკის ძე ხარაზოვის თხოვნით განქორწინების შესახებ.

1116 1—1

სახალხო მოსამართლე (ხელის მოწერა).

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსის სამმართველო

ამით აცხადებს, რომ ა. წ. 28 აგვისტოს

დანიშნულია

შეჯიბრება

იჯარით აღებათ ზაჰესისათვის სამასალო საწყობის აგების სამუშაოთა, რომლებიც შესდგება:

1) ეკლიანი მავთულის ღობე ხუთ რიგად ბოძებზე 1 საჟ. სიმაღლით საერთო მანძილით 45 გრძივი საჟენისა.

2) მიწის ნაყარის პლატფორმა 0,5 საჟ. სიმაღლით და 5 საჟ.×40 საჟ.

3) ქვის კედლები—კირზე წყობით პლატფორმის ნაყარის დასამაგრებლად დაახლოვებით 16 კუბ. საჟ.

4) ხის ფარდული ლითონის სახურავით ნივნივით სიდიდით გეგმის მიხედვით 4,5 საჟ.×15 საჟ. სიმაღლე 1,4 საჟ.

5) ხის შენობა საწყობისათვის ფიცრებიანი კედლებით ლითონის სახურავით გეგმის მიხედვით სიდიდით 4,5 საჟ×15 საჟ. და სიმაღლით 1,4 საჟ.

6) დროებით საცხოვრებელი შენობა ფიცრებიანი კედლებით და დახურული ყავრით, ხის იატაკით და ჭერით მთლიანად აგლესილი შიგნით საერთო ასპარეზით გეგმ-ში დაახლოვებით 50 კვ. საჟ და სიმაღლით 1,7 საჟ.

ყველა სამუშაო შესრულებული იქნება ზაჰესის მასალებით, ხოლო ხელსაწყო უნდა იქნეს მოიჯარადრის.

სამუშაოთა შესრულების ვადა ერთი თვე ნახევარი.

იმ პირებს, რომლებსაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაონი მთლიანად, უნდა შემოიტანონ ამის შესახებ წერილობითი განცხადება დაწესებული ნიმუშის თანახმად ბლანკზე დახურულ კონვერტებში წარწერით: ზაჰესის სამუშაოთა უფროსს 1923 წ. 28 აგვისტოს შეჯიბრებისათვის; ამ რიცხვს გაიხსნება კონვერტები.

ფასები აღნიშნული უნდა იქნეს ჩერვონეცის მანეთებში.

ფულის გადახდა იწარმოებს ამიერ-კავკასიის ფულის ნიშნებით საგადასახადო ქვითარის შედგენით დღის კურსით, რომელიც იქნება საფონდო ბირჟის მიერ გამოცხადებული.

განცხადებასთან დართული უნდა იქნეს ქვითარი ზაჰესკომის სალაროში საიჯარო თანხის 5 პროც. საწინდრის შეტანის შესახებ.

საწინდარი უძრავი ქონების სახით და სხ. ამგვარი მხედველობაში არ იქნება მიღებული და საწინდრის შეტანისაგან არავინ არ იქნება განთავისუფლებული.

საწინდარი თანხები იმ ორგანიზაციების და პირების, რომლებსაც არ მიეცემათ სამუშაო დაუყოვნებლივ დაუბრუნდებათ შეჯიბრების შედეგების გამორკვევისთანავე.

საწინდარი იმ პირისა, რომელმაც აიღო სამუშაო, რჩება ზაჰესკომის სალაროში და შევსებულ იქნება 10 პროცენტი საიჯარო თანხის, პირველ გადასახდელ თანხებიდან 10 პროცენტის დაჭერით და დაუბრუნდება სავსებით სამუშაოს დამთავრების შემდეგ.

ზაჰესკომი იტოვებს უფლებას გასცეს სამუშაო არა უმცირეს ფასებშიაც, მიიღებს რა მხედველობაში მოიჯარადრის წინანდელ მუშაობას, მის გამოცდილებას და მის მიერ სამუშაოს წესიერად შესრულებას.

ვრცელი პირობებისა და ნახაზების გაცნობა შეიძლება ზაჰესის ტეხნიკურ განყოფილებაში, ყოველ დღე, დილის 10—12 საათ. ქ. ტფილისი, ლ. დუმბაძის ქუჩა, სახლი № 3.

იქიდანვე გაიცემა დაწესებულ ნიმუშის მიხედვით ბლანკები განცხადებისათვის.

ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელსადგურის აგების სამუშაოთა უფროსი, ინჟ. ჭიჭინაძე.

570—3—3

განცხადება.

ზაჰესის მუშაობისათვის საჭიროა ნაძვის და ფიჭვის შემდეგი ზომის მასალა:

1) ძელები, სიგრძით 12 ადლი, სისხო-სიგანით სხვადასხვა ზომის სულ 2800 ღერამდე

2) ფიცარი—სხვადასხვა ზომის სიგრძით 12 ადლი, სულ 3178 ღერი

3) ფინები სხვადასხვა ზომის, სიგრძით 12 ადლი, სულ 1350 ღერი

4) ნაგვერდული, სიგრძით 12 ადლი, სიგანით 5 გოჯი, სულ 3000 ღერი

5) შუაზე დახერხილი მორი (ПЛАСТИНЫ), სიგრძით 12 ადლი სხვადასხვა ზომის, 250 ღერი.

6) რგვალი ფიჭვის—ნაძვის მორები ვიწრო თავში 3 გოჯიდან 7 გოჯამდე, სულ 1300 ღერი.

აღნიშნული მასალა უნდა იყოს ახალი ხის, სალი, უჭიანო, არა ნაფუტარა, არა ხვეული, არა ნაშურიანი, სწორი და სწორ ძაფიანი.

ნაჩვენები მასალა შეიძლება იქნეს დადგმული ან მთლად ან ნაწილობრივ. ზომების შესახებ დაწვრილებით ცნობების მიღება შეიძლება ზაჰესის სამმართველოს სამასალო ნაწილში—აღმასკომის შენობა ოთახი № 12, ყოველ დღე, დღის 2 საათამდე.

აღნიშნული მასალის გასაცემად ზაჰესის სამმართველო ნიშნავს 25 ამა აგვისტოს, დილის 12 საათზე შეჯიბრებას და მსურველმა უნდა წარმოადგინოს წერილობითი დახურული განცხადება, რომელშიაც უნდა იქნეს აღნუსხული როგორც მასალის რაოდენობა, ისე მათი ზომა და ღირებულება ან ფრანკო ვაგონი სად. ავჭალა ან საწყობი ზემო-ავჭალაში ჩაბარებით

შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღების მსურველმა უნდა შემოიტანოს ზაჰესის სალაროში წინდაწინ 5 პროც. საწინდრის სახით იმ მასალის ღირებულებისა, რომლის აღებაც შეჯიბრებაში მონაწილეს სურს.

ფულის შეტანის ქვითარი უნდა იქნეს დართული განცხადებაზე. თუ შეკვეთა არ მიეცა, შემომტანს დაუყოვნებლივ დაუბრუნდება შემოტანილი თანხა.

განცხადების შემოტანის უკანასკნელი ვადა არის 25 აგვისტო დღის 12 საათი.

ზაჰესის სამუშაოთა უფროსი, ინჟინერი ჭიჭინაძე. 569 3—3.

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

0—16

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდით ექიმობას საჭიროებენ.

საავადმყოფო სწარმოებს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

(501—25—25)

დაიკარგა სიმწიფის მოწმობა, მიღებული მე-11 ტეხნიკუმიდან და პირადობის მოწმობა ტფილისის მილიციიდან მიღებული მარიამ სოფრომის ასულ კვირკელიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1117—1—1)

დაიკარგა სატრანსპორტო მუშის წიგნაკი ავერლიანოვას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1315—1—1)

დაიკარგა სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი არშაკ სიმონოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1315—1

დაიკარგა პასპორტი მიღებული ქ. ერევნის სამილიციო სამმართველოდან და სატრანსპორტო კავშირის წიგნაკი აზარაპეტ მნაცაკანოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1113—1—1)

დაიკარგა პირადობის მოწმობა ალექსანდრა სტოშკოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1 1

დაიკარგა პირადობის მოწმობა გიორგი ამაღლობელის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. (კვი. 1111—1—1)

[illegible] სტამბა, [illegible] ქუჩა № 4